

F1294
1921

თავისუფალი საქართველო

№ 2.

15 ივნისი, 1921 წელი.

№ 2.

ბოლშევიკები საქართველოში.

I.

საქართველოს კომუნისტების შავი სახე და ბნელი მუშაობა დღეს სახვებით გამოაშკარავებულია. დაკვირვებულ მკითხველსთვის ეს ყოველთვის უდავო იყო, მაგრამ ზოგიერთ გულუბრყვილოთ შეიძლება კიდევ ეგონათ, რომ მათს რევოლუციურ ფრაზეოლოგიაში რაიმე პროგრესიული ნიშან-წყალი მაინც იფარებოდა. დღეს ასეთ ილიუზიებს ესენიც საბოლოოთ უნდა გამოეთხოვონ.

დღეს ბრმაც დაინახავს, რომ მათი სიტყვა—შეარაზებული საჩაივების ლექსიკონია რევოლუციურ ტერმინებით შეზავებული, მათი პრესის სტილი—ქეშმარიტ რუსთა ვაზეთების სტილია, მათი საქმე—მხოლოდ დანგრევა-განადგურება ყოველივესი, რასაც სასიცოცხლო ნიშანწყალი მოეპოვება. ერთი სიტყვით ისინი ნამდვილი, პირწაფარდნილი რეაქციის მოკიქულებია.

კომუნისტები თავის წარმოშობით და ბუნებით საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას ვერ მიეკუთვნებიან. ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში მათ რაიმე სერიოზული ნიადაგი არც წინეთ ჰქონიათ და არც დღეს მოეპოვება.

მაშ საიდან გაჩნდნენ ისინი? ვის ეყრდნობიან? რომელ სოციალურ წრეებს?

ისინი ჩვენში უცხო ძალაა. ადგილობრივი კი მათი სახელოვანი არმია შესდგება პირ-

ველ-ყოვლისა დეკლასიურ, ან ნახევრათ დეკლასიურ ელემენტებისაგან. შემთხვევითი კი არ არის ის მოვლენა, რომ მრავალ მაზრაში მათ ყაჩაღები დასვეს „წესრიგის“ დამცელებათ და თფილისში ალექსანდროვის ბაღის ქვედა ნაწილში მუღმბიე მოსეირნენი—თავის პრესაში თავის პროლეტარულ საფუძვლათ აღიარეს.

შეგნებული და ორგანიზაციებში დარაზმული დემოკრატია სოფლის და ქალაქის მუშები მათ ვაფრბის, და მხოლოდ ეს ვარეწარი, ნახევრათ ლუმპენპროლეტარებათ ქცეული ელემენტები, რომელნიც ყოველგვარი ანარქიის მოტრფიალენი არიან, კიდევ შეიძლება ემხრობოდნენ დღეს ვაკოტრებულ კომუნისტებს.

მაგრამ მათი ყველაზე „საიმედო“ ადგილობრივი ლაშქარი—ის წმინდა რეაქციონური არმიაა, რომელიც ყოფილი ოსი სტრატეგების და სომხის სპეკულიანტების სახით ევლინებიან დღეს საქართველოს, როგორც კომუნისტების აფანგარდი*). თავისთავად ცხადია ასეთ „ძალაზე“ დაყრდ-

*) ამ დებულებას არ არღვევს, რასაკვირველია, ის ვარეშობა, რომ მათ თანგრძნობით შეხედენ ზოგიერთი ვარეწარი პოლიტიკოსები, როგორცაა თ. ლლონტი, „პროლეტარი“ შ. ნუტუბიძე და მანია შათია. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, მუდამ ქარის მიხედვით იზრუნებდნენ ცხვირს, ზოლო. მათი ვაპარტოვებით დარჩენა თვით თავის თანამოაზრეთა წრეშიც, მანჩენებელია ასეთ ქამელეონების უნიდაგობის... ბოლშევიკებისთვის კი ისინი ასრულდნენ იმ სახედრის როლს, რომელსაც თანსცემენ და თან ტვირთს აზიდენებენ... მათ ნება დართეს შეწვევიების ლანძღვის და მათაბს უთავაზებენ, თუ კომუნისტების თუნდა ცალმათი ვაკრტიკება ვაბუდეს... დაე ზილონ თავის ტვირთით.

F 8349

საქართველოს
სოციალური
დემოკრატიული

ნობა არაფერი სახარბიელოა და აი ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს კომუნისტები დღესაც გულში იკრავენ რუსის „წითელ“ ჯარს, რომელიც აშკარა იმპერიალისტური მიზნებით „მისცა“ მათ მათმა მომავლინებელმა მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ.

ამით საქართველოს კომუნისტების მდგომარეობა ბევრათ უფრო ცუდი და სამარცხვინოა ვინემ მოსკოვის კომისრების.

სუბიექტიურათ მათ შეიძლება კიდევ სურდეთ თავის საკუთარი ბატონობა დამკვიდრონ ჩვენში, მაგრამ რადგან სოციალურ საკითხს სწყვეტენ არა სურვილები, არამედ ძალთაგანწყობილება, ისინიც ნებსით თუ უნებლიეთ „ემორჩილებიან“ თავის ბედს და მოსკოვის აგენტების როლით კმაყოფილდებიან. და აი ამაში გამოიხატება უბადრუკობა და უილაჯობა ჩვენი კომუნისტების. ესაა მათი ტრაგიკომედია.

რუსეთის კომუნისტები დიდხანს ფარავდენ თავის რეაქციონურ შინაარსს. მათ ჰქონდათ ლოზუნგი და ხანდისხან, თუმცა იშვიათად, საქმეც, რომელიც იზიდავდა მათკენ დროებით მოტყუებულ ხალხს მასსა. ისინი ქადაგებდენ და იბრძოდენ დენიკინ-კოლჩაკის რეაქციონურ ლაშქრის წინააღმდეგ. ე. ი. წინააღმდეგ ფეოდალური რეჟიმის აღმდგენლებისა. მათ ქონდათ ლოზუნგი—ქვეყნის გადარჩენა მეფის გენერლებისა და ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ექსპლოატატორებისაგან. ისინი პირდებოდენ ხალხს დაუყონებლივ სოციალიზმის განხორციელებას.

მოსკოვის ქართველ მიმდევრებს ეს ლოზუნგებიც არ მოეპოვებათ... ჩვენში არც ფეოდალებია და არც ფეოდალური რეაქცია. დაუყონებლივ სოციალიზმზე თვითონაც კარგა ხანია ხელი აიღეს. სამაგიეროთ აქ კომუნისტები პირველად მოხედენ ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყანაში და დაუპირდაპირდენ დემოკრატის, ე. ი. ნამ-

დვილ სახალხო წყობილებას. აქ მათი მოწინააღმდეგე ძალაა—მუშათა კლასი, და გლეხობა და მათი პოლიტიკური ხელმძღვანელი, რევოლიუციის ავანგარდი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებიდან გამოსული მთავრობით, რომელთაც მთელი ერი ენდობა და რომელთაც წაუშლელი კვალი დასტოვეს თავის მუშაობით ქართველ ხალხის გულში.

და აი აქ უშუალოთ, უპირბადეთ გამოჩნდა ნამდვილი სოციალური შინაარსი და თვისება კომუნისტთა „რევოლიუციონერობის“. გამოჩნდა, რომ ისინი მოწოდებული არიან არა ქვეყნის წარმატებისათვის, არამედ მის პროგრესიულ და რევოლიუციურ წრეების შესამუსრავათ ე. ი. წმინდა რეაქციონური მუშაობისათვის.

მდგომარეობის ნათელ ყოფას ხელი უწყვეს თვით კომუნისტებმა იმით, რომ მათ პირდაპირ დაიწყეს იქიდან, რითაც რუსეთის კომუნისტებმა დათავეს—აშკარა რეაქციით.

მართლაც დენიკინ-კოლჩაკთან ბრძოლა რუსეთში როგორც ვიცით, დასრულდა, ამ უკანასკნელთა ორგანიზაციის დანგრევით, მათი მომხრეთა დიდი ნაწილის საბჭოთა საშახურში გადასვლით და ასე შავი და წითელი რეაქციის თითქმის სრული გაერთიანებით, თუ ვრანგელის მიტოვოდენ აფიცრობას არ ვიანგარიშებთ.

საქართველოს კომუნისტებმა კი თავიდანვე გააჩაღეს თანამშრომლობა დეკლასიურ და რეაქციონურ ელემენტებთან, ხოლო რეპრესიების სიმძიმე მიმართეს მხოლოდ-და რევოლიუციური დემოკრატისაკენ.

ამით ყოველგვარი გაუგებრობა მათ მიმართ საბოლოოთ გაფანტულია. და ეს არის, თუ გნებავთ ერთად-ერთი დადები-



თი მხარე იმ საშინელ და გამანადგურებელ მუშაობის, რომელსაც ისინი აწარმოებენ საქართველოს სხეულზე.

მათ მოსპეს და მიწასთან გაასწორეს საქართველოს ახლად დაწყებული საზოგადოებრივი აღმშენებლობა, გარეკეს ხალხის წარმომადგენლობა — დამფუძნებელი კრება. ჩაეღეს ხალხის თვითმართველობანი, რომელთა სავალდებოთ იგი თვით უძღვებოდა თავის საქმეებს. გაანადგურეს წარმოების ახალი ყლორტები, რომელთაც დემოკრატიულ წყობილების ნიადაგზე იწყეს ზრდა საქართველოში, ერთი სიტყვით გააუქმეს ხალხი და მის ნაცვლად მოგვცეს კომუნისტური ნედროსლების და რუსეთიდან გამოწვეულ ინსტრუქტორების რეკომენდები, ჩეკები, სოცნარხოზები, ერთი სიტყვით დიდი და უსაშინელესი ბიუროკრატია, რეპრესიები და ნგრევის აპარატები. ყველა ამას ზედ დაურთეს უკანასკნელი სიტყვა ლენინისა — უცხო კაპიტალის ბატონობა თავის უმწეო ადვოკატების პოლიტიკურ გამგებლობის ქვეშ.

მათ უნდათ უცხოეთის სავაჭროზე გამოიტანონ მთელი ერის სიმდიდრე და მზათ არიან ხალხის აწმყო და მომავალი ავლადიდება მუქათათ ჩაუყარონ ხელში პირველ გამვლელს, ოღონდ კი გაახანგრძლივონ თავის არსებობა. ისინი შეასრულებენ კიდევ თავის განზრახვებს, რომ მოხერხება ქონდესთ ყველაფრის გაყიდვის, და საქაო ნდობა მოეპოვებოდეთ მყიდველების ე. ი. ევროპის ბურჟუაზიის.

ამ რიგათ საქართველოს კომუნისტები წარმოადგენენ მოსკოვის კომუნისტთა ანარქელს, ჩვენში გადმოტყაორცნილს დიდი რუსეთის დიდი ანარქიისაგან. მათი წარმომშობი — რუსეთის სინამდვილეა და არა საქართველო, წყარო მათი გამარჯვების და საფუძველი მათი ბატონობის რუსეთის

ჯარია. ამიტომ მათი მდგომარეობა საშინელია. ამიტომ მათი მდგომარეობაა. ქართველი ხალხისაგან იგინი გარიყული არიან, როგორც მისი მოლაღატენი. მათი მუშაობა რუსეთის რეაქციას და იმპერიალიზმს ემსახურება. მათი დანიშნულება ამიტომ მხოლოდ რევოლიუციონურ ქართველ დემოკრატისათან ბრძოლაა, და მისი რუსეთისადმი მოარჩილებაში მოყვანა.

ერთი სიტყვით, მოსკოვის აგენტები! ასეთია დასკვნა ობიექტური ანალიზის.

მაგრამ საქართველოს მესვეური კომუნისტები არ ცხრებიან და მიანც ჩემულობენ დამოუკიდებელ არსებობას.

რა საბუთი აქვთ მათ?

მოსკოვის ბონაპარტიზმი.

(წერ. კ. კაუციხია)

ამ მოკლე ხანში გამოვიდა კ. კაუციხის წიგნაკი: „საქართველოს გლეხური და სოციალისტური რესპუბლიკა“, რომელშიაც ავტორი აყვებებს საყურადღებო და მნიშვნელოვან დასკვნებს იმ ცნობების და შთაბეჭდილებების მიხედვით, რომელიც საქართველოში მოგზაურობის დროს მიიღო.

მოგვყავს აქ მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი წიგნაკის უკანასკნელ თავიდან, რომელიც ეხება ბალშევიკების ურდოების შემოსევას საქართველოში:

„არა ერთადერთი, მაგრამ უმთავრესი მიზეზი კომუნისტების შემოსევისა იყო ის გარემოება, რომ საქართველოში მენშევიზმი მეფობდა. ხოლო მეორე მიზეზათ უნდა ჩითვალოს ბალშევიკების საერთაშორისო პოლიტიკა. როგორც წინეთ ცარიზმი, ისე დღეს ბალშევიზმი იმ რწმენას ადგია, რომ რუსეთის უდიდესი და უსაშინელესი მტერი ინგლისია. და ეს უზარმაზარი ქვეყანა — რუსეთი — ერთადერთია ყველა სახელმწიფოთა შორის, რომელსაც აქვს

თავის გეოგრაფიული მდგომარეობის გამო ისეთი საშედეგება, რომლითაც შეიძლება ინგლისის ძლიერების დამხობა: მას ხელთ უწყობია ინდოეთის გზა. დაი საბჭოთა რუსეთს ამ ხანათ მიხნათ აქვს დასახული ნაპოლეონ ბონაპარტის გრანდიოზული პლანების განხორციელება. მას სურს მძიმე ლახვარი ჩასცეს ინგლისის ძლიერებას ინდოეთში. ნაპოლეონმა პირველი ნაბიჯებიდანვე დამარცხება განიცადა იმით, რომ ვერ შესძლო გამაგრებოდა ზღვაზე ინგლისის ფლოტს. მისი დამარცხება ზღვაზე მით იყო დიდათ მნიშვნელოვანი, რომ ნაპოლეონს ზღვის გარეშე სხვა გზა არ მოეპოვებოდა ინდოეთისაკენ. მეორე ნაბიჯი რომ გადაედგა, ე. ი. ხმელეთით რომ წასულიყო, ის კიდევ უფრო უარესს დამარცხებას მიიღებდა, რადგან საჭირო მიმოსვლის საშედეგებიანი არ მოეპოვებოდა. და ეს დაბრკოლებანი მის სამხედრო კარიერს იმ თავითვე მეორე მოსკოვს მოუშნაღებდა.

საბჭოთა რუსეთს არ ესაჭიროება ნაპოლეონის პირველი ნაბიჯის გადადგმა ე. ი. ზღვაზე ბატონობის მოპოვება. მას შეუძლია პირდაპირ მეორე ნაბიჯით დაიწყოს.

მაგრამ დღეს ინდოეთის დასაპყრობათ საჭიროა ბევრათ უფრო დიდი ჯარი, ვინემ საჭირო იყო მე-18 საუკუნეში. თუ საკმაოა დიდი რკინის გზები არ გაიყვანა რუსეთმა, მას ძალიან ცოტა შანსები ექნება იმის, რომ შორს წასვლა შესძლოს. ასეთი აღშენებლობა კი ყოვლად წარმოუდგენელია იმ პირობებში, რომელშიც იმყოფება დღეს რუსეთის ინდუსტრია. მიუხედავად ამისა მათი პლანი მეტათ გაბედულობა. საერთოდ რაც შეეხება გაბედულობას, ამაში ბოლშევიკები არ ჩამოუვარდებიან დანტონს და ნაპოლეონ პირველს. სწორეთ ეს გაბედულება და მათი პოზიტიური საქმიანობა წარმოადგენს იმ მიმ-

ზიდველ ძალას, რომელიც ახდენს გაცლენას მათი რევიმის გარეშე მშობლივ ხმელეთთ პირებსა და წრეებზე.

ერთი ეტაპთავანი ინდოეთის გზაზე არის სპარსეთი, რომელსაც ბოლშევიკები შემეცინენ წარსულ წელს, თუმცა დიდი წარმატება ვერ პოვეს. მათი ბაზა იმ ხანათ ექვს გარეშეა საკმაო არ იყო ამ ოპერაციებისთვის. ეს ბაზა ფართოვდება დღეს საქართველოს დაპყრობით. ამ რიგათ მოსკოვის იმპერიალისტურ პოლიტიკას დასაჭირდა ეს ქვეყანა თავის მომავალ სამხედრო მიზნების წარმატებით განსახორციელებლად. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ როგორც კი როსტამ თავისუბურათ გააშუქა საქართველოსთან კონფლიქტი, მოსკოვიდან მაშინვე მოვიდა შემდეგი ცნობა: „28 თებერვალს მოსკოვში ხელი მოაწერეს რუსეთმა და ავღანისტანმა ურთიერთ შორის ხელშეკრულობაზე“.

საქართველოს დაპყრობა ერთი ელემენტთავანია რუსეთის აღმოსავლეთურ პოლიტიკისა, რომელიც არსებითად მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ.

თავისთავად იბადება შედარება ნაპოლეონთან და ეს შედარება ბევრჯერ იქნა კიდევ ნახმარი. მათი პოლიტიკის ასეთი ერთნაირობა არ შეიძლება, რომ შემთხვევას მივაწეროთ. დღეს თანდათან ნათელი ხდება ყველასათვის, თუ რამდენათ მეორდება რუსეთის რევოლიუციაში საფრანგეთის დიდი რევოლიუციის პროცესი მიუხედავათ იმისა, რომ დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და იდეოლოგია დიდათ განსხვავდება მე-18 საუკუნის მდგომარეობისაგან.

მონტესკიე, ვოლტერი, ჟან ჟაკ რუსო დღეს თითქმის მივიწყებული არიან. უდიდესი თანამედროვე მასწავლებელი კ. მარქსია, რუსეთი კი გახლავთ არა ყველაზე უფ-



რო განვითარებული ქვეყანა ევროპის კონტინენტზე, როგორც საფრანგეთი იყო ასი წლის წინეთ ე. ი. რევოლუციის დროს, პირიქით იგი ყველაზე უფრო ჩამორჩენილია.

მიუხედავთ ამისა უმთავრესი პრობლემები 1917 წლის რუსეთის რევოლუციისა ე. ი. აგრარული რეფორმის მოხდენა და აბსოლუტუტიზმის განადგურება--იგეთივე იყო, რაც 1789 წელს საფრანგეთში. რუსეთის რევოლუციამ, ისე როგორც საფრანგეთისამ, ერთნაირი ეტაპები გაიარა, მხოლოდ რუსეთში--მისი დაბალი სოციალური სტრუქტურის გამო საქმის ვითარებამ უფრო ველური (აზიური) ფორმები მიიღო.

აქ, ისე როგორც საფრანგეთში, ჩვენ ვხედავთ უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზიულ რევოლუციას. საფრანგეთში ის ვითარდებოდა იაკობინელების ტერორ ქვეშ, რომელიც ეყრდნობოდა დაბალ კლასებს, განსაკუთრებით ქალაქებში, რუსეთში ის ვითარდება ბოლშევიკების ტერორ ქვეშ, მიუხედავთ იმისა, რომ ბოლშევიკებმა პროლეტარიატის დიქტატურა გამოაცხადეს.

ძალა-უფლების შესანარჩუნებლათ იაკობინელები იძულებული იყვნენ ნაცვლად ძველი რეჟიმის ბიუროკრატის, პოლიციის და არმიისა, რომელიც რევოლუციამ გააუქმა, შეექმნათ ახალი პოლიცია, ახალი ბიუროკრატია და ახალი ჯარი, რომელიც ბევრათ უფრო ძლიერი იყო და ბევრათ უფრო ცენტრალისტურათ მოწყობილი, ვინემ ძველი რეჟიმის დროს. ამით ჩაეყარა მთავარი საფუძველი იმ აპარატს, რომელსაც შემდეგ დაეყრდნო საფრანგეთის იმპერია.

ბოლშევიკები ცხოვრებამ იძულებული გახადა იმავე გზით წასულიყვნენ. ეგრეთ წოდებული მუშათა მთავრობა ქმნის პო-

ლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში უმარაზარა აპარატს, და დიქტატურა შემოაქვს ქარხნების მართველობის სფეროშიაც კი.

მუშათა საბჭოები აჩრდილათ იქცენ. ხოლო სამაგიეროთ წარმოიშვა დიდი არმია, სასტიკი დისციპლინით შებოქვილი, რომლის ინტერესებს ემსახურება დღეს მთელი მსხვილი ინდუსტრია რუსეთის.

ამ რიგათ საბჭოთა რუსეთი ახლა უკვე იმ ფაზისშია შესული, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის მესამე ხანას ეფარდება: ესაა ხანა არმიის და პოლიციის შეფთა აბსოლუტუტიზმის. ჩვენ შეგვიძლია ეს ხანა დავახსიათოთ, როგორც ხანა ბონაპარტიზმის. მართალია გამარჯვებულ გენერლის ბატონობას ჯერ-ჯერობით არ აქვს ადგილი რუსეთში, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ ვხედავთ უკვე კონსულატის რეჟიმს ორი კონსულით: ესენია ლენინი და ტროცკი.

მოსკოვის ბონაპარტიზმს, როგორც საფრანგეთისას, დასაბამი აქვს რევოლუციაში და გარეგნობით მას წააგავს, რითაც ბევრი ენტლუზისტი შეყავს შეცდომაში. ვიცით მაგ. რომ თავდადებული რევოლუციონერი მუსიკოსი ბეთხოვენი, 1804 წლის შემდეგ ნაპოლეონის დიდი თავყანისმცემელი შეიქნა. ენტლუზისტთა წრეებში ნაპოლეონი ითვლებოდა რევოლუციის სულის ჩამდგმელათ, ხოლო რეაქციონურ ძალებს ის ჰირივით სძულდათ, ისე როგორც თვით რევოლუცია. მიუხედავთ ამისა იმპერია არსებითად განსხვავდებოდა რევოლუციისაგან. მოსკოვის საბჭოთა რეჟიმსაც იმდენი აქვს საერთო პროლეტარიატის ძალა-უფლებასთან, რამდენიც ნაპოლეონის იმპერიას ჰქონდა საფრანგეთის რევოლუციურ რესპუბლიკასთან.

ის, რასაც საბჭოთა რეჟიმი ეწოდება, ეყრდნობა დღეს არა პროლეტარიატის

ძლიერებას, არამედ შეიარაღებულ ჯარის ძალას და პროლეტარიატის სისუსტეს ამ ჯართან შედარებით, სწორეთ ისე, როგორც წინეთ ნაპოლეონის იმპერია.

არმიის გაძლიერებით იზრდება აბსოლუტური ძალა მართველების, მაგრამ ამასთანავე იზრდება მათი დამოკიდებულება ამ ერთადერთ ძალაზე, რომელზედაც ჯერ კიდევ შეუძლიათ დაყრდნობა, ე. ი. ჯარზე. ამ რიგათ წარმოიშვა დღევანდელდღეს რუსეთში ახალი იმპერიალისტური ძალა. და ამ იმპერიალიზმის ტენდენცია, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ გააფართოვოს თავის ძალის და ექსპლუატაციის საზღვრები, არის თვისება არა მარტო კაპიტალიზმის, არამედ აგრეთვე მილიტარიზმის.

რომ ჯარზე გავლენა არ დაეკარგა, და ულეველი ჰქონდა მისთვის ახალ-ახალი წყაროები დავლის და სიმდიდრის მოსაპოვებლათ, ნაპოლეონი იძულებული იყო ეწარმოებია განუწყვეტელი ომები, რომელმაც მიიყვანა ის მოსკოვამდე, სადაც დამარცხდა. ანალოგიურ პირობებს ეხებადეთ დღეს რუსეთში, და აქედან წარმოსდგება ანალოგიური იმპერიალიზმი მოსკოვის მთავრობის, რომლის მსხვერპლი გახდა საქართველოს რესპუბლიკა.

რომ რუსეთი მართლა პროლეტარული რესპუბლიკა იყოს, საქართველოს დაპყრობა მის მიერ სასიკვდილო ლახვარის ჩაცემა იქნებოდა მთელ ჩვენი პროპაგანდისათვის მუშათა კლასში, რომელიც არის უმთავრესი დამცველი საერთაშორისო მშვიდობიანობის. მაგრამ, საბედნიეროთ, რუსეთის მუშათა კლასს პოლიტიკურათ არაერთი არ წილი არ უდევს საქართველოზე თავდასხმაში, რადგან მან დიდი ხანია დაჰკარგა ყოველივე გავლენა რუსეთის პოლიტიკაზე. მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია, როგორც წარსულში, ისე დღესაც სრულიად საფუ-

ძლიანათ განვაქცადოთ, რომ მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის ძალა-უფლებას შეუძლია საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარება, ვინაიდან პროლეტარულ სახელმწიფოთა შორის არ შეიძლება იყოს რაიმე სერიოზული საბაზი ომის, ხოლო საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობის გრძნობა იმდენათ ძლიერია, რომ შესძლებს მშვიდობიანი გზით გადაწყვიტოს ყოველგვარი მოულოდნელი კონფლიქტი სახელმწიფოთა შორის. და რუსეთი, რომელმაც მოახდინა ეს ყოველი მხრივ დასაძრახი და გასაკიცი თავდასხმა საქართველოზე, შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ბონაპარტისტულ სახელმწიფოდ და არა პროლეტარულ კოლექტივად.

კ. კაუცკი.

საქართველოში.

(პასუხად ბ. შეიშანს)

ბ-ნ შეიშანმა, რომელიც რუსეთის წარმომადგენელი იყო თფილისში მცირე განცხადება მოათავსა „ახალ გზაში“, საიდანაც იგი შემდეგ სხვა კომუნისტურმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს.

ამ განცხადებას მიზნათ აქვს გაამართლოს ევროპის პროლეტარიატის თვალში რუსეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ და ოკუპაცია ამ ქვეყნისა მოსკოვის ჯარების მიერ.

საინტერესოა აღვნიშნათ, რომ საბჭოთა მთავრობას სწორეთ შეიშანისთვის დაუვალეზია ამ ომის გამართლება, იმ შეიშანისთვის, რომელიც სრული ექესი თვის განმავლობაში დაუცხრომლად შრომობდა ამ ომის მოსაშადებლათ, რომელიც ერთი მხრით არწმუნებდა საქართველოს მთავრობას მოსკოვის მშვიდობიან განზრახვებში და ამავე დროს აქებებდა თავის მთავრობას ჩვენ ქვეყანაზე თავდასასხმე-



ლათ. ეს ის შეიშანია, რომელიც სამოპრ მოქმედებათა დასაწყისში, როცა მოსკოვის ჯარები შემოჭრილი იყვნენ უკვე ჩვენს ტერიტორიაზე, ირწმუნებოდა—საბჭოთა მთავრობამ არაფერი იცის ამ შემოტყვის შესახებო.

ბ. შეიშანმა საუცხოვოთ შესარულა თავის პირველი დანიშნულება.

ენახოთ როგორ შესარულებს ის ახალ დავალებას, როგორი ვეჭილი გამოდგება რუსეთის იმპერიალისტების.

საქართველოსთან ომის გასამართლებლათ ბ. შეიშანს წამოყენებული აქვს ორი ბრალდება ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ:

1) საქართველოს მთავრობა აწყობდა აჯანყებებს მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში.

2) საქართველოს მთავრობას სურდა სამედიცინო ხელშეკრულების გადასინჯვა.

პირველი ბრალდება მტყნარი სიცრუეა. საქართველოს მთავრობას არასოდეს არ მოუწყვია არც აჯანყება და არც შეთქმულება მეზობელ რესპუბლიკებში.

ბ-ნმა შეიშანმაც ეს ისე კარგათ იცის, როგორც ჩვენ. მან იცის აგრეთვე, რომ თუ ჩვენ გვქონდა სურვილი რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის, ჩვენ შეგვეძლო ჩაგრულიყავით მაშინ, როცა მოსკოვს ემუქრებოდა მოხალისეთა არმია დენიკინისა. მაგრამ ჩვენ გადაჭრით უარყავით პოლიტიკა უცხოელების ჩარევისა რუსეთის საქმეებში. ბ-ნმა შეიშანმა იცის, თუ საიდან წარმოსდგა ბრალდება შეთქმულებათა მოწყობის შესახებ, ვინაიდან ერთი ავტორთავანი ამ ბრალდებების თვითონ ის ბრძანდება.

ბოლშევიკებს სურდათ, რომ ჩვენ მათი ჯალათებისთვის გადაგვეცა ხელში ის ვადმოხვეწილნი, რომელთაც ჩვენს მიწა-წყალზე შემოაფარეს თავი. ჩვენ უარყავით ეს მოთხოვნა, ისე, როგორც უარყავით ანა-

ლოგიური მოთხოვნა დენიკინელების ჩვენში შემოხიზნულ ბოლშევიკების გაცემის შესახებ, მათ შორის ზოგიერთი პირების იმ ჯგუფიდანაც, რომელთაც დღეს რუსეთის ხიშტის წყალობით ხელთ უპყრიათ ბატონობა საქართველოში. ორივე შემთხვევაში ჯალათები ხელდაედენ რა, რომ მათი სამსხვერპლონი ჩვენი კანონების მფარველობის ქვეშ იმყოფებიან და მათთვის მიუწვდომელი არიან, შეთქმულებაში გვდებდენ ბრალს.

ამ რიგათ ბოლშევიკების ბრალდებებს ისეთივე ფასი აქვს, როგორიც შვერახშელ რეაქციონერებისას.

ესეც რომ არ იყოს, რა საჭიროება მოითხოვს საქართველოს მთავრობის მომიზეზებას რუსეთში აჯანყებების ასახსნელად, როცა ყველამ კარგათ იცის, რომ აჯანყების ალი მოდებულია ყველგან საბჭოთა რესპუბლიკებში კრონშტადტიდან დაწყებული უკრაინამდე და მოსკოვიდან—ვლადივასტოკამდე.

მათი წარმომშობი მიზეზი ერთადერთია—ესა ბოლშევიკური რეჟიმი, რომელიც სძულს მთელ ხალხს, დამონებულს მოსკოვის დიქტატორების მიერ. და საქართველოს მთავრობა აქ, ცხადია, არაფერ შუაშია.

დავგრჩა მეორე ბრალდება: ჩვენ გვსურს გადასინჯვა საზავო ხელშეკრულობის.

ღიბ, ჩვენ მართლაც გვსურს ეს. (და ეს ერთადერთი მართალი სიტყვაა ბ-ნ შეიშანის განცხადებაში!). მაგრამ განა თავისუფალი და დამოუკიდებელი ხალხის სურვილი ამა თუ იმ ხელშეკრულობის გადასინჯვისა დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს? განა ხალხის მიერ ასეთი სურვილის გამოთქმა ნებას აძლევს მის მეზობელს, რომ მას ჯარებით შეესიოს?

ბ-ნი შეიშანი გვპირდება მოკლე დროში



ამ „საქმის“ შესახებ ყველა საბუთების გამოკვეყნებას. ასეთი კრებული მართლაც საინტერესო იქნება, მაგრამ რასაკვირველია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება სრული. მაშინ ჩიჩერინის გრძელ-გრძელ ნოტებთან ერთად, რომლითაც ის გვარწმუნებდა მოსკოვის მშვიდობიან განზრახვებში, მკითხველი იპოვის მასში მე-11 არმიის სარდლის გეკერის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რამდენი ჯარი დასჯირდება მას საქართველოს დასაპყრობათ. და აგრეთვე იმ ბრძანებებს, რომელიც მიუვიდა მე-8, 9, 11 და 12 არმიებს საქართველოზე გასალაშქრებლათ.

ამ კრებულის მოლოდინში კი მე მინდა შევასწორო ზოგიერთი ყალბი ცნობები, რომელიც ბ-ნ შეიშანის განცხადებაში მოიპოვება.

არ არის მართალი, თითქოს საქართველოს ლორისთვის ანექსია იყოს. არც ისაა მართალი, თითქოს ჩვენში აჯანყება გაჩაღებულიყოს. ბ-ნი შეიშანი უხვევს სომართლის გზიდან, როცა ამტკიცებს, თითქოს ჩვენ მიგვეცეს წინადადება ოსმალეთისთვის საქართველოს ზოგიერთი ოლქების დათმობის შესახებ. ნამდვილათ ასეთი წინადადება მისცეს ქეშალის და ენვერფაშის მეგობრებმა—მოსკოვის კომისრებმა. არა ნაკლებ ყალბია ბ-ნ შეიშანის ვერსია, რომელიც ამტკიცებს, თითქო ჩვენს მთავრობას ხელი აეღოს თავის ხელისუფლებაზე რევოლუციური კომიტეტის სასარგებლოთ. მართლაც და მეტათ გულუბრყვილო უნდა იყოს კაცი, რომ იფიქროს, თითქოს ჩვენს მთავრობას შეეძლო საქართველოს ხალხის სვებედი ჩაებარება იმ ჯგუფისთვის, რომელმაც სისხლით მორწყო მთელი ჩვენი მიწაწყალი! ბ-ნი შეიშანი აგრეთვე შორსაა ქეშმარიტებისაგან,

როცა აცხადებს, თითქოს საქართველო ჯარებს მოეთხოვოს მთავრობის წევრების დაქერა. ჩვენი ჯარის-კაცები, ჩვენი შეიარაღებული მუშები და გლეხები, მუდამ ერთგულნი იყვნენ სოციალისტური მთავრობის, მაშინაც, როცა მამაკურად ებრძოდნენ ბოლშევიკების ჯარს და მაშინაც, როცა ბათონიდან ერეკებოდნენ მოსკოვის მოკავშირეებს, ქეშალისტებს, რომელთაც უნდოდათ ამ ქალაქის ხელში ჩაგდება.

მე ამ ჟამათ დავკმაყოფილდები ამ შესწორებებით. მე არას ვუპასუხებ მას იმ განცხადებაზე, რომელიც შეიცავს საჩივარს იმის შესახებ, რომ თითქოს მისი თანამშრომელი ტიფთ ავთ გახდნ საქართველოს საპყრობილებში. წარმომადგენელი იმ რეჟიმის, რომელმაც ერთ დიდ საპყრობილეთ აქცია თვალუწვედენელი რუსეთი, რომელმაც თავის სისასტიკით საშველო საუკუნის ინკვიზიციასაც კი გადააქარბა, რომელმაც შავი კირის ბუდეთ ვახადა ყოველი ქალაქი და სოფელი მის სამფლობელოში მოქცეული, ერთი სიტყვით ბოლშევიკური რეჟიმის წარმომადგენელი, რა პირით უნდა დაპარაკობდეს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა სისასტიკეზე და რა იმედი უნდა ქონდეს, რომ მის სიტყვას სერიოზულ ანგარიშს გაუწევინ?

დაბოლოს მე ერთი კითხვა უნდა დაუუსვა ბ-ნ შეიშანს:

თუ ჩვენი ხალხი ბოლშევიკური დიქტატურის მომხრეა, მაშინ რათ ვერდობიან ამ იდეის მატარებელნი რუსის ხიშტებს? რატომ ვერ ბედავენ ამ ხიშტების იქიდან გაყვანას და ჩვენი ხალხისთვის იმის შესაძლებლობის მიცემას, რომ მან თავის ბედი თითონ გადასწყვიტოს თავისუფლათ?

ჩხეიძე.

პარიზი. 7 მაისი, 21 წელი.



კომუნისტების არჩევნები.

კომუნისტები ბევრს ტრაბახობენ მუშათა კლასში გამარჯვებაზე. მოსკოვის არჩევნებში მათ გარეგნულათ კიდევაც გაიმარჯვეს. მაგრამ ამ არჩევნებს რომ კილი ვაუტყვინჯოთ და შინაარსში ჩავიხედოთ, სულ წინააღმდეგს დავინახათ.

პირველყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დემოკრატიული და ხშირი არჩევნებით თავმომწონე კომუნისტებმა, რომელთაც კონსტიტუციით ყოველ ექვს თვეში უნდა მოეხდინათ საბჭოს არჩევნები, ერთი წელიწადი და 2 თვე უცადეს შესაფერ მომენტს, სანამ არჩევნების დანიშნას გაბედდნენ. და ეს დანიშნაც იძულებითი ხასიათის იყო. მას თხოულობდა ოპოზიციაში ჩამდგარი მუშები და მატროსები, რომელთაც მოაწყვეს კრონშტადტის აჯანყება, მოსკოვის და პეტროგრადის გამოსვლები და სხვ. ამ მოძრაობის სისხლში ჩაქრობის შემდეგ ბალშეველებმა გადაწყვიტეს, რომ შეუძლიათ საარჩევნო კომპანიის უშუალო ჩატარება.

და დიწყეს... პირველ ყოვლისა ყველა პასუხისმგებელ მენშევიკების და ესერების დატუსაღება, თვით საბჭოთა დებუტატებისაც, რასაკვირველია. რაკი ეს მოწინააღმდეგენი ჩამოიშორეს, მაგარი მუშებით დაადგენ თავს დამშუფლ და განაწამებ მუშებს.

არჩევნებმა მოგვცა დიდი უმეტესობა კომუნისტების, მხოლოდ მეოთხედ ვაკიდა მოსკოვში უპარტიო და რამდენიმე ათეული ესერები და მენშევიკები.

ისიც გასაკვირველია, როგორ გაბედეს მუშებმა ან ამათი არჩევა, ან არჩეულებმა თავის კანდიდატურაზე დათანხმება!

ჩვენ ვვაქვს მაგ. ასეთი ღირს-შესანიშ-

ნავი ცნობები არჩევნების შესახებ. რომელიც თვით ნაპოლიონ მეორესაც შემურდებოდა.

„ხამოვნიკის რაიონში შტაბის მუშა-მოსამსახურეების კრებაზე წამოაყენეს ორი სია: კომუნისტური იაჩეიკის და უპარტიო. ერთხმად იქნა არჩეული კომუნისტების სია“. ნეტა რა იქნა თვით კანდიდატების ან მათი წამომყენებლების ხმა? ბოლშევიკების მუშტმა ჩაყლაპა განა?

აი კიდევ. ალექსეევის ქარხნის შესახებ „იზვესტია“ სწერს: „მუშები მეტათ ჭკვიანათ და საქმიანათ მოიქცენ, ჯერ მიწასთან გაასწორეს კომუნისტები, გაათახეს ისე, რომ მშრალი ადგილი არ დაუტოვებიათ, და შემდეგ... ერთხმად აირჩიეს“.

ესეც დიდი გაუბედიათ. რა დამართებოდათ, რომ ხელის აწევით არ გამოესყიდათ ერთ ნაშოქმედარო? რომ თავის აზრის მიხედვით ჩაეტარებიათ არჩევნები, მაშინ მათ მოელოდა რისხვა კომუნისტების, რომელზედაც სტეკლოვი მეორე შემთხვევის გამო ასე სწერს „პრავდაში“:

„სირცხვილი მთავარ სახელოსნოს მუშებს, რომლებიც გაცვენ მენშევიკებს და ესერებს კომუნისტებთან ბრძოლის მოლიპულ გზაზე“.

ხოლო ჩვენ მკითხველს კარგათ ეცოდინება თუ რას ნიშნავს ეს „მოლიპული გზა“ კომუნისტების.

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

განა ბოლშევიკების ვაჯენას? სრულიადაც არა. პირიქით ან მხრივ ისინი სრულიად ვაკოტრდენ მორალურათ და პოლიტიკურათ. მათი ერთათ-ერთი დასაყრდნობი წერტილი ხიშტის წვერია და ჩეკას თავაშვებული რებრესიები. სისხლის რეკიმი სისხლით-და საზრდოობს. მაგრამ როდემდის?

უკანასკნელი არჩევნები, რამდენათაც

შეიძლება მისი ნამდვილი სურათის აღდგენა თვით ბოლშევიკური პრესიდან, მაჩვენებელი იმის, რომ მუშათა წრეში ბოლშევიკების მომხრე დღეს მხოლოდ და მათი პარტიის წევრებია. დანარჩენი მასა მათ ჩამოშორდა და განზე გადავა, მაგრამ საშინელი რეპრესიების გამო მათ აქტიუ წინააღმდეგობას იქამდე ვერ მიუღწევია, რომ ეს არა მკითხველ მაცხოვრებელი თავიდან მოშორდნ. და საარჩევნო ასპარეზზე ეს კითხვა არც გადაწყდება.

ბოლშევიზმი დაეყრდნო ხიზტს, თვით პარტია კომუნისტების იქცა ხიზტის პარტიით და ყოველი არჩევნები, საბჭოები და სხვა ასეთები გადაიქცნენ მხოლოდ უბრალო შირმათ, ხელი სუფლების ორგანოთა აჩრდილათ, რომელსაც არც არა ეკითხვის და არც არა შეუძლია. იგი მკვდარი და წესებულდება და დღეიდან მხოლოდ ერთ სამსახურს გვიწევს: იგი გვაძლევს უტყუარ საბუთს კომუნისტური დიქტატურის სრულ სიყალბისას და პოლიტიკურ უილაჯობისა და გაკოტრებისას.

ეს კი პირდაპირი და უტყუარი ნიშანია მისი აღსასრულის მოახლოვების.

და მოსკოვის არჩევნებიც, რომელზედაც ბევრს ყვირიან ბოლშევიკები, მხოლოდ ერთს გვეუბნება: კომუნისში კვდება—და ფხიზლათ ყოფნაა საქირო, რომ მისმა ლეშმა ჩვენს ქვეშ არ მოგვიტანას.

ს.-დ. პარსიევი ეპროკაში.

დამოუკიდებელი მუშ. პარტია ინგლისში

პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის კრებაზე, რომელსაც დაესწრა ფოლხედი, ფ. სნოუდენი, მაკდონალდი და სხვ. მოსმენილ იქნა მოხსენება პარტიიდან ზოგიერთ კომუნისტურ სექციების გასვლის შესახებ. მოხსენებელმა აღნიშნა, რომ 760

სექციიდან, რომელიც არსებობს პარტიაში, გათიშვის რეზოლიუცია მიიღო ხოლოდ 26 სექციამ, ამათგანაც უმცირესობა არ დაემორჩილა ასეთ დადგენილებას და აირჩია თავისი მდივანი ძველ პარტიასთან კავშირის შესანარჩუნებლათ.

განხეთქილება ისპანიის მუშ. პარტიაში.

ისპანიის სოც. პარტიის ცენტრ. კომიტეტმა სამარცხენო საქმე ჩაიღინა: მან თავის სხდომაზე, რომელსაც მხოლოდ 5 კომუნისტი წევრი დაესწრა, (დანარჩენები იქ არ იყვნენ), გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც მოიწონა მოსკოვის იმპერიალისტების თავდასხმა საქართველოზე. რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართა პარტიის კონგრესი, რომელზედაც მთავარი საკითხი იყო მოსკოვის ინტერნაციონალთან დამოკიდებულება. რუსეთში ნამყოფმა ისპანიის სოციალისტურ დელეგაციის წევრმა ფერნანდ დე-ლოს რიოსმა, თავის ვრცელ მოხსენებაში გააშუქა რუსეთის საშინელი მდგომარეობა და აღნიშნა მოსკოვის კომუნისტების „სამოთხის“ უარყოფითი მნიშვნელობა მუშათა კლასისა და რევოლუციისთვის. კომუნისმის მომხრე ბ-ნ ანგინოს კონტრ მოხსენებამ ვერ გააქარწყლა დე-ლოს რიოსის მიერ მოხდენილი ძლიერი შთაბეჭდილება.

კონგრესის უმრავლესობა აშკარათ დაადგა მოსკოვის საწინააღმდეგო პოზიციას.

როცა ერთ სოც.-დემოკრატ ორატორს, პროფ. ბესტინს უკვირეს, შენ ოპორტიუნისტი ხარო, მან უპასუხა, აიხ. ლენინის ოდენ ოპორტიუნისმამდე შე არასოდეს არ მივალო. მე არასოდეს არ ვიხამ იმას, რაც ჩაიღინა ტროცკიმ, რომელმაც მუშათა „დიქტატურის“ ქვეყანაში ბრძანება გამოსცა, რომ მოექცნათ და იძულებით დაებრუნებოთ სამუშაოზე 300,000 მუშა, რომელიც მათ კომუნისტურ „სამოთხეს“ გაექცათ.

კონგრესზე 8,808 ხმით 6025 ხმის წინააღმდეგ მე-III ინტერნაციონალთან შეერთება უარყოფილ იქნა. ამის შემდეგ კომუნისტებმა ასტეხეს ალიაქოთი და ყრილობა გათიშეს. კრება აურზაურში დახურულ იქნა.

კომუნისტები ცალკე პარტიის შექმნას შეუდგნენ.

განხეთქილება გერმანიის კომუნისტებში
გერმანიის კომუნისტები ვერ გამოდგნენ საკმაოდ მონური ფსიხოლოგიის, რომ უსიტყვოთ დამორჩილებოდნენ ზინოვიევის განკარგულებებს მოსკოვიდან.

მათმა მეთაურმა დოქ. ლევიმ გამოსცა წიგნი, რომელშიც სისწორით აღნიშნა კომუნისტების მოწყობილი მარტის ანტიურისტული გამოსვლა. ამისთვის იგი დაუყონებლივ გაძევებულ იქნა პარტიიდან. ამითი დაიწყო განხეთქილება. მასთან ერთად პარტიიდან გავიდა თითქმის ყველა სერიოზული წევრები და მეთაურები კომუნისტური პარტიის. მათ შორის კლარა ცეტკინა.

გერმანიის კომუნისტების დამარცხება მუშათა კლასში.

შუა გერმანია კომუნისტების მთავარ ბუდედ ითვლებოდა, ლანდტაგის არჩევნებში მათ აქ მიიღეს 204,000 ხმა, უმრავლესობის სოციალისტებმა 74,000, დამოუკიდებლემბმა 76,000. ამა წლის მარტში ანტიურისტულ გამოსვლების შემდეგ კი სურათი შეიცვალა. მუშებმა ზურგი შეაქციეს ამ მატყუარებს რაც გამოჩნდა საქარხნო კომიტეტების არჩევნებში. 236 კაციდან მათ გაიყვანეს მხოლოდ 11 თავის კანდიდატი.

არჩევნები იტალიაში.

კომუნისტების გამთიშველი პოლიტიკის წყალობით სოც.-დემ. პარტია რამდენიმეთ დასუსტდა. წინანდელ 15ნ დეპუტატის ნაცკლად მან გაიყვანა წელს პარლამენტში

121 დეპუტატი. კომუნისტები, რომლებიც ტრახახობდნენ, რომ მათ ყავთ უმრავლესობა მუშათა კლასში სუსტზე სუსტი აღმოჩნდნენ. მათ გაიყვანეს მხოლოდ 14 დეპუტატი.

გარდა გათიშვისა სოციალისტების დასუსტება აიხსნება აგრეთვე იმ საშინელი ტერორით, რომელიც გამეფებულია იტალიაში ფაშისტების მიერ სოციალისტების მიმართ.

აი ამონაწერი ერთი დღის გაზეთებიდან: ქალაქ პიანენცოში შეიარაღებული ფაშისტები დაესხნენ თავს ქალაქის თავს სოციალისტს, შეიპყრეს იგი, მისცეს ხელში ორი ბანკა ნავთი და წააკიდებინეს ცეცხლი მომხმარებელ ღუქნისათვის. იქვე გვერდზე კარაბინებით იდგნენ ყაზარმაში, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

იმავე პაღუს პროვინციაში ქ. კასტელმადოში ცნობილმა პირებმა დაანგრიეს თეატრი, კოოპერატივი და საკრებულო სოც. პარტიის. ღამე შეუტვიფდნენ სოციალისტთა ბინაზე და დაუწვეეს ოთახის მორთულობა.

რომის პროვინციი სმრავალ ქალაქებში 30—40 ფაშისტი შეიარაღებული, სისტემატიურად ესხმის თავს სოციალისტებს, მათ სახლებს, საკრებულოებს, უშლიან შეკრებას ხმოსან სოციალისტებს და სხვ. ქ. სოვინოში თავს დაესხნენ სოც. მანიფესტაციას, ერთი მოკლეს და 6 დასჭრეს. მთავრობა ამას ხედავს და არაეითარ ზომებს არ იღებს. იგი ფარულათ უქერს მათ მხარს.

ასეთი ტერორი რასაკვირველია არა ერთ ამრჩეველს შეაშინებდა. მიუხედავად ამისა სოციალისტები მაინც თვითუღლად ყველა პარტიაზე ძლიერნი არიან პარლამენტში.

ავსტრიის კომუნისტები.

ავსტრიაშიაც არსებობენ კომუნისტები, რომელთაც უკანასკნელ არჩევნებში სამ-



ბრეთ ავსტრიაში მიიღეს მონაწილეობა. და აი მათი მიღწეული შედეგები: სულ შეაგროვეს 5,700 ხმა, მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 250,277.

ბოლშევიკები მაინც ატყუებენ თავის მკითხველებს, ერთად-ერთ ძალას ავსტრიაში კომუნისტები წარმოადგენენო.

შვეიცარიის სოციალისტები და კომუნისტები.

კომუნისტები, რომლებმაც გათიშეს შვეიცარიის სოც.-დემ. და საკუთარი პარტია დაიარსეს, საშინელი დამარცხება განიცადეს კანტონების და ქალაქების ნაწილობრივ არჩევნების დროს. სოც.-დემოკ. პარტიამ შეაგროვა ბევრათ მეტი ხმა, ვინემ წინეთ იღებდა, როცა განხეთქილება არ იყო. კომუნისტებმა კი მიიღეს ათეული ხმები. მაგ. თვით შოდე-ფონში, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს კომუნისტების ნაქები ბელადი გუმბერტ დრაზი—კომუნისტებმა შეაგროვეს საშუალოთ 40 ხმა, სოციალისტებმა კი 3,800 ხმა.

მუშათა კლასი მალე ერკვევა კომუნისტების სისყალბეში.

მანიფესტი

საზრანავითის სოც. პარტიის ც. კ.

სოც. პარტიის (საფრ. სექცია მუშათა ინტერნაციონალის) მუდმივი ადმინისტრაციული კომისია (ე. ი. ც. კ.—ი.) მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს პროტესტი განაცხადონ საქართველოს სოციალისტურ დემოკრატიულ რესპუბლიკის დაპყრობის წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინა რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ.

ც. კ.—ი ბრალს სდებს არა რუს პროლეტარებს, არამედ იმ მთავრობას, რომელიც დღეს მათი სახელით მოქმედებს.

რუსეთის მთავრობამ მოატყუა ევროპის პროლეტარიატი, როცა ამბობდა თი-

თქოს რუსეთი ჩარეულიყარს ამში საქართვლომხეთისთვის მხარის დასაქერათ საქართველოსთან საზღვარის გამოარკვევის დროს. ნამდვილათ კი რუსეთის მთავრობამ საქართველოს შეასია რუსის მეთერთმეტე არმია სწორეთ იმ კონფერენციამდის, რომელზედაც უნდა მოგვარებულიყო საზღვრების საკითხი. ქართველები რაინდულათ გაუკლავდენ მომხდურებს. იმათ უკვე უნდა უკუეგდოთ მტერი, როცა ერთი მეორეს მიყოლებით საქართველოს საზღვრების ოთხ პუნქტზე გამოჩნდა სხვა ოთხი არმია საომრათ მომხადებული, ცოტა მოგვიანებით კი მეხუთე არმია, ეს იყო ოსმალეთის არმია, რომელიც—როგორც პირველი ოთხი—მხოლოდ უცდიდა ნიშანს (Signal), რომ სასწრაფოთ თავს დასხმოდა საქართველოს.

საქართველოს დემოკრატიულ და სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთს ხელი ქონდათ მოწერილი საზავო ხელშეკრულებაზე. საქართველომ შეასრულა თავისი მოვალეობა რუსეთის რესპუბლიკისადმი, როცა მან უარი უთხრა დახმარებაზე ამ უკანასკნელის მტრებს, სახელდომ დენიკინს არა თუ შეუწყოა ხელი, არამედ კიდევ ეომა მას და მისი ჯარი გაანიარადა.

ქართველომ სოციალისტებმა შექმნეს დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც—ამტკიცებენ ისინი—დაცული იყო მოქალაქეთათვისუფლება; მათ მართლაც გაასაზოგადოეს ყველა ის, რის გასაზოგადოება შესაძლებელი იყო ეკონომიურათ ნაკლებ განვითარებულ ქვეყანაში, ვინემ ევროპაა; მათ ააგეს ნორჩ რესპუბლიკის პოლიტიკური ძალა-სიმაგრე საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე და მუშათა და გლეხთათვისუფლათ არჩეულ საბჭოთათ სახელმწიფოებრივ კონტროლზე,—და მისი ეკონომიური ძალა თავისუფალ სინდიკატების

თანამშრომლობაზე. ამ ნაირათ აშენებული და ასე ცხოველი საქართველოს რესპუბლიკა გახდა ბოლშევიკებისათვის აუტანელი, როგორც მათი მამულივებელი ფაქტი.

დღეს კი ის თავისუფლებანი, რომელიც მიენიჭა საქართველოს ხალხს, უკვე მოსპობილია; მის მიერ შექმნილი მთავარი დემოკრატიული დაწესებულებანი დანგრეულია. საქართველო უჭირავს რუსის ვებერთელა არმიას და დაფარულია ბოლშევიკების ბიუროკრატებით; მისი სიმდიდრე კი დღითიდღე ინთქება და ქარწყლდება.

განაცხადით პროტესტი მის გადასარჩენათ.

ევროპის სოციალისტური პროლეტარიატი უკვე გამოვიდა პროტესტით მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ამ ავაზაკურ კონფისკაციის წინააღმდეგ. ჩვენმა ამხანაგებმა გერმანიის დამოუკიდებელ პარტიიდან და მთელი ქვეყნის სხვა და სხვა სოციალისტურმა ფრაქციებმა უკვე აღიმაღლეს საპროტესტო ხმა და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხმა არ იქნება ნაკლებათ აშკარა და მძლავრი.

დარწმუნებული საქართველოს ხალხის უფლებაში იმ განცხადებებით, რომელიც გადმოგვცა ამხ. ჟორდანია, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ და წერეთელმა—იმ პირმა, რომელმაც დიდებული როლი ითამაშა 1917 წ. მარტის რუსეთის რევოლიუციაში, ც. კ.— მითთან ერთათ მოითხოვს საქართველოს დაცლას რუსის ჯარის კაცებისა და მოხელეებისაგან.

ამას გარდა ც. კ.— სიმოვნებით (favorablement) ეგებება ს.-დემოკრატიულ პარტიის 3,000 წარმომადგენელთა ეხლახან თფილისში მიღებულ შემდეგ წინადადებას: „ჩვენი სურვილია შესდგეს შერეული კომისია ევროპის მუშათა მოძრაობის ორ მიმდინარეობისაგან—სოციალისტურისა და

კომუნისტურისაგან—რომლის კონტროლის ქვეშ მოხდება საქართველოში თავისუფალი არჩევნები მშრომელი ხალხის ნების გამოსახატავათ. ამ კომისიის შემადგენლობის შესახებ სოც.-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეუთანხმდება კომუნისტურ პარტიას“.

ევროპის მუშათა პაუზირაჟი.

გერმანია. კომუნისტებმა თავის უაზრო დიქტატურით რუსეთში პროფესიონალური მოძრაობაც გარყვეს და პროფ. კავშირები ჩინოვნიკურ აპარატთ აქციეს. ასეთივე პრაქტიკის გადატანა მოისურვეს მათ ევროპის მუშებში. მაგრამ იქ მათ დეზორგანიზატორულ მუშაობას მალე აუღეს ალღო და მუშათა კავშირებში ამსტერდამის კონგრესზე ერთსულოვნათ დაგმეს ბოლშევიკური ურა-ტაქტიკა, დამყარებული გათიშვასა და მოსკოვის მორჩილებაზე. კონგრესის მაგალითს გაყვეს ცალკე პროფესიონალური კავშირებიც.

ამ მხრივ პირველი გაბედული ნაბიჯი გადადგა იმ ქვეყანამ, რომლის იმედი ყველაზე მეტად ჰქონდა მოსკოვის კომუნისტებს—სახელდობრ გერმანიამ, ან უკეთ ბერლინმა, რომელიც მათ თავის ბურჯათ მიაჩნდათ. საამშენებლო მუშებმა დიდი უმრავლესობით აირჩიეს გამგეობაში სოციალისტური სიის კანდიდატები და გააშვეს კომუნისტები. ტრანსპორტის მუშათა კავშირმა თავის კონფერენციაზე, რომელიც შედგა ამავე ხანებში დიდი უმრავლესობით უარყო მოსკოვთან შეერთება და ამსტერდამის სასარგებლო რეზოლიუცია ასე დაათავა: „დამსწრენი პირობას დებენ, რომ ყოველის საშუალებით დაიცავენ მტკიცე და მიზან-შეწონილ კლასთა ბრძოლის პრინციპებს და ტაქტიკას, და არსებულ ორგანიზაციულ მთლიანობას“.

ამსტერდამის სასარგებლოთ მიიღო რეზოლიუცია ბერლინის მუნიციპალურ და სახელმწიფო მუშათა კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით.

ბიტტერ ფელდის რაიონის მუშათა კონფერენციამ ასეთივე რეზოლიუცია გამოიტანა ერთხმად: „ბიტტეს ფელდის სამრეწველო რაიონის პროფ. კავშირების კონფერენცია უარყოფს ყოველგვარ ავანტიურისტულ გამოსვლებს. იგი დგას გერმანიის ცენტრ. კავშირის პლატფორმაზე და ჰკიცხავს ყოველგვარ განხეთქილებას შპრომელთა ეკონომიურ ორგანიზაციებში“.

აპრილის დამლევს გერმანიის მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ ვეიმარში მიიღო საყურადღებო დადგენილება: „ყოველი წევრი კავშირის, რომელსაც სურს რაიმე თანამდებობა მიიღოს კავშირში, ვალდებულია პირობა დადვას, რომ იგი იხელმძღვანელებს მხოლოდ ჩვენი წესდებით, ყრილობის და საბჭოების დადგენილებებით, და გერმანიის კავშირთა ცენტრალური საბჭოს დირექტივებით. ისინი უნდა ცნობდენ ამსტერდამის საერთა-

შორისო კავშირს—მუშათა პროფ. მოძრაობის საერთაშორისო ცენტრით და მხარს უჭერდენ მას. ამიტომ კომუნისტურ პარტიის მიმდევრებს არ შეიძლება რაიმე თანამდებობა მიეცეს ჩვენს კავშირში“.

საფრანგეთი. საფრანგეთის გენერალურმა კონფერენციამ ერთხელ კიდევ ხმის დიდი უმრავლესობით დაადგინა ამსტერდამის მომხრეობა და მისი ცალკე ფედერაციები ენერგიულად ებრძვიან თავის წრეში კომიანტიკების არსებობას, რომელსაც ისინი რევოლუციურ სინდიკალურ კომიტეტებს უწოდებენ.

ბ-ნ ფროსარის და კაშენის, ამ ყოფილი უკიდურესი ოპორტიუნისტების, გაბალშევიკებამ და სოც.-დემ. პარტიის უწყალოთ გათიშვამ ვერ შეარყია მუშათა მისის სულიერი მდგომარეობა.

თამამად უნდა ითქვას, რომ ევროპაში მუშებმა თითქმის ყველგან მოიხადეს ბოლშევიზმის სენი. იგი მოიხადეს რუსეთის მუშებმაც, მაგრამ ჯერ კიდევ მისი შეიარაღებული მუშტი ვერ მოაუშორებიათ კისრიდან.

რუსეთის ვიწოხილვა.

ზარბაზნების ენა.

ერთად-ერთი ენა, რომელიც კარგათ აქვთ შეთვისებული ბოლშევიკებს, ეს ზარბაზნების ენაა.

და მართლაც მათი სამი წლის მეფობა რუსეთში, მათი სამი წლის განუწყვეტელი სასტიკი და დაუნდობელი სამოქალაქო ომი, რომელიც იმდენათ კლასთა შორის ბრძოლა არ იყო, რამდენათ ბრძოლა „პურისათვის“, მათი უტოპური პოლიტიკა, რომელმაც რუსეთი უფსკრულამდე მიიყვანა—რწმენის დაუკარგავდა უკიდურეს მორწმუნესაც კი

კომუნისმის განხორციელების შესაძლებლობაში ეკონომიურათ დაქვეითებულ და შეგნებით უკანასკნელ საფეხზე მდგარ რუსეთის ხალხში.

მაგრამ ამ სამი წლის პრაქტიკამ გაბატონებულ პარტიიდან ბევრი ვერავინ მოიყვანა ქუაზე.

მეთვე ყრილობის წინა დღეებში სასტიკი ბრძოლა იყო კომუნისტთა წრეებში ეკონომიურ პოლიტიკის შეცვლის შესახებ და ცხრა მეთვედი პარტიისა, საუკეთესო ლიდერები, დაწყებული ლენინიდან და გათავებული ტროცკი ბუნარინით, გაცხა-

რებული ამტკიცებდნენ ძველი პოლიტიკის გაგრძელების აუცილებლობას.

სნობილი მენშევიკი დოლინი მასწავლებლობიდან დაითხოვეს და შემდეგ დაქერასაც უპირებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთ კრებაზე მეთათე ყრილობის წინა დღეებში აუცილებელ საჭიროთ აღიარა სასურსათო „ნაზვორსტის“ მაგიერ სასურსათო გადასახადის შემოღებას. მაგრამ მეთათე ყრილობაზე მდგომარეობა შეიცვალა.

ლენინი და მისი დამკავშირებელი ფანატიკური გატაცებით სისულელეთ და ქვეყნის დამლუბველათ აცხადებდნენ იმას, რასაც გუშინ საკმეველს უკმევედნენ, ანბანურ ქვეშაირტებათ აღიარებდნენ მას, რისთვისაც გუშინ მოწინააღმდეგეებს ციხეში აგდებდნენ, ხოლო კომუნისმის და რევოლიუციის მოლაღატე დაარქვეს მას, ვინც მათ გუშინდელ აზრს იცავდა.

„კლასთა მოტყვიღება შეუძლებელია“ აი ლოზუნგი გადმოსროლილი ლენინის მიერ. და ამიტომ საჭიროა ძირიან-ფესვიანათ შეცვლა ძველი პოლიტიკის, ძველი გზის. და მეთათე ყრილობამ 180/0 შეატრიალა ძველი გზა.

მაგრამ რა იყო მიზეზი ასეთი კომუნისტური პოლიტიკის შეცვლისა? რამ აუზილა თვალი და აღუდგინა დამბული და ბინდ გადაკრული აზროვნება კომუნისტთა მოღვაწეებს ასე ერთბაშათ?

მოსკოვისა და პეტროგრადის მუშების მძლავრმა გამოსვლებმა და განსაკუთრებით კონშტატდის ზარბაზნების მწარე გუგუნმა.

ძლიერ ძვირათ დაუჯდა რუსეთს ლენინისა და სხვა კომუნისტების გადაჯერება იმაში, რომ ძველი გზა—დამლუბველი გზაა. და რაც კიდევ უფრო საყურადღებოა—ეს გზის შეცვლა ფრიად დაგვიანებული გამოდგა.

რუსეთის ეკონომიური მაჯის ცემა იმ რიგათ მიღუნებულია, საწარმოო ძალთა განვითარებას იმდენი საწინააღმდეგო ლობებები და კედლები უდგას წინ დღეს, რომ ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინება არ ძალუძთ რუსეთის დღევანდელ მებატონეებს.

ამას აშკარათ გეჩვენებს ჩვენ რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა.

სათბობი მასალა.

სოენარხოზების ყრილობაზე ერთმა ორატორთაგანმა განაცხადა, რომ ნავთის წარმოება ძლიერ საშიშ მდგომარეობაშია, რადგან ნავთის ჰები წყლით ივსებაო. თუ დღევანდელი მდგომარეობა გაგრძელდა, 1922 წელში ნავთის წარმოება სრულიად მოისპობა, რადგან ყველა ჰები წყლით აივსება. მუშებს ვერ ვშოულობთ და 44,000 კაცის მაგიერ, რაც მინიმუმია ნავთის წარმოებისათვის, დღეს მხოლოდ 24,000 კაცი მუშაობს.

ლომოვმა იმავე ყრილობაზე განაცხადა, რომ მიღებულია ზომები ბაქოსა და გროზნოს ნავთის წარმოების კონცესიონერებისთვის გადასაცემათ, მაგრამ ჯერ აქედანაც არაფერი სახირო არ გამოდის (წით. გაზეთი 25/V).

რაც შეეხება ქვა-ნახშირის იქაც მდგომარეობა ძლიერ ცუდია და ტყუილია იმის თქმა, თითქოს ნახშირი რუსეთს ექნება.

იმავე ლომოვის სიტყვით, გერმანელების წინადადება ნახშირის რაიონის კონცესიით აღების შესახებ, ბოლშევიკებისათვის მიუღებელი შეიქნა. არ არის არც იმის იმედი, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან შევძლებთ ნახშირის შემოტანას, რადგან დღეს იქაც ნახშირის კრიზისია.

ამ რიგათ ერთად-ერთი იმედი შეშაა. მაგრამ სამწუხაროთ შეშის დამზადებაც თუ ეცემა, როორმ არ მატულობს. მაგ. პეტერ-



ბურგში აპრილში მარტთან შედარებით შემოტანილია 30% ნაკლები (წით გ. 26/V).

სათობ მასალის უქონლობა კი იწვევს მთელი წარმოების თან და თან შეჩერებას. უმეტესი ნაწილი დიდი ქარხნებისა დღეს შეჩერებულია და კიდევ უნდა ველოდეთ ამ შეჩერების პროცესის განვითარებას.

შიშნობა.

სურსათის მხრივ რუსეთის მდგომარეობა დღეს ბევრათ უმფრო წვავეა, ვინემ ეს თებერვალ-მარტში იყო.

შიშნობა როგორც ქალაქში, ისე სოფლათც. ყოველთვის პურით მდიდარ პოკროვის მხრამიდაც კი (სარატოვის გუბ.) დიდი ნაკლებობაა პურის.

„პეტროგრადის მახოვიკი“ (19/V) სწერს: ეს თვე (მაისი) ძლიერ მძიმეა ჩვენთვის სურსათის მხრივ. ახალ მოსავლამდე ჩვენ კიდევ უფრო მეტათ გავგიჟირდება.

ბანდები ესერებისა და მენშევიკების ხელმძღვანელობით არბევენ ხორბლის შესანახ პუნქტებს, ცარკვენ სამარშრუტო მატარებლებს, ანგრევენ ჩვენს აპარატებს.

უწყებები (№ 113) სწერენ: სოფლებიდან რკინის გზის სადგურებზე პურის და საერთოთ სხვა ტვირთულობის გამოტანა ძლიერ დაეცა: იანვარში გამოიტანეს 21 მილიონი ფუთი, აპრილში კი 16,5 მილ., რაც მოსწავებს შემცირებას 25%.

მას კი შედეგად მოჰყვა შემცირება და ტვირთულ ვაგონებისა.

ციმბირში და კავკასიაში ყოველ დღე შუა რიცხვით იტვირთებოდა 158—120 ვაგონამდე, აპრილში და მაისში კი ეს კატასტროფიულათ დაეცა: 11—20 აპრილამდე სულ დაიტვირთა ციმბირში 135 ვაგონი და კავკასიაში 41 ვაგონი. 21—30 აპრი.—ციმბირში 105 ვაგ. და კავკ. 25 ვაგ. 1—10 მაისამდე 63 ვაგონი ციმბირში და 11 ვაგონი კავკასიაში. ამ რიგათ სასურსათო კრიზისი გამწვავდა.

ამ უკანასკნელ დღეებში პეტერბურგში წითელ არმიელებსაც კი არ აძლევენ პურს, არამედ მხოლოდ სელიოდვას. რალა ითქმის მუშებზე და სხვა მცხოვრებლებზე?

მუშები ძლიერ აღელვებულია. ქალაქ გარეთ ხდება მუშათა კრებები, მიუხედავათ იმისა, რომ მათ წინააღმდეგ სასტიკ ზომებს იღებს ჩეკა.

არის ხშირათ დემონსტრაციები. განსაკუთრებით ევიდემიური ხასიათი მიიღო გაფიცებმა. გაფიცვა თავდება ერთ დარგში, იწყება მეორეში.

გაფიცვები.

ტრამეის მოსამსახურეები „სელი დომა“ გაფიცენ. (მახ. 13/V) ამის შესახებ მოთავსებულია მუშის წერილი, რომელიც აგინებს მოწუწუნე მუშებს, რადგან, ამბობს ის, მუშების მეუღლეებს არ უნდათ გაფიცვა, ამის გარდა ტრამეის გაჩერების გამო ქალაქის განაპირა ადგილებიდან არ შეუძლიათ მუშებს ქარხნებში მოსვლა.

3 მაისს გაფიცენ ალექსანდროვის ქარხნის მუშები. 4,500 კაცმა მიანება თავი მუშაობას შიმშილის გამო.

5 მაისს, ცნობილ „იამაში“ მოხდა დიდი მიტინგი. მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობის წარმომადგენლები ძალზე იმუქრებოდენ, მათი წინადადებები უარყოფილ იქნა და დადგინეს გაფიცვა გააგრძელონ იმ დრომდე, სანამ ყველა პეტერბურგის მცხოვრებლებს არ დაურეგებენ პურს.

ამ გაფიცვას შეუერთდენ სხვა დიდი ქარხნების მუშებიც. მუშაობა შეჩერდა ობუხოვის ქარხანაში, ტრეუგოლნიკში, მეორე სახელმწიფო ფაბრიკაში (ყოფილ შაჰშალი), კაბელის ქარხანაში, პატრონების ქარხანაში და სხვ.

5 მაისს შეწყვიტეს მუშაობა სახელმწიფო ქალაღლების დამზადემელ ექსპედიციაში.



გაფიქსულებების წინააღმდეგ იღებენ სასტიკ რეპრესიულ ზომებს. იჭერენ და ციხეში ადებენ მუშებს, ინტელიგენტებს. განსაკუთრებით ბევრი დაიჭირეს წვეის ხასტავის ქარხნების მუშებში. დაიჭირეს ტრამვაის მუშებიც.

10 მაისს პეტერბურგში დადიოდა მხოლოდ რამდენიმე ტრამვაი, სადაც ვატმანებათ კომუნისტები იყვნენ. პეტერბურგში სამხედრო წესებია გამოცხადებული. ემუქრებიან მუშებს დახვრეტით.

დღეს პეტერბურგში ტრამვაი სრულეხით შეჩერებულია.

პროვინცია.

ასეთი უწყაყოფილება მუშების არა მართა სატახტო ქალაქებშია. იგივე სურათია რუსეთის სხვა დიდ ქალაქებშიაც და სამრეწველო რაიონებში—ხარკოვში, ეკატერინოღარში, როსტოვში, კიევში და სხვაგან.

ეკატერინოსლავში მაგალითათ პროფესიონალურ კავშირთა საგუბერნიო ყრილობაზე ნახევარზე მეტი დელეგატებისა სოც.-დემოკრატები, ესერები და უპარტიოები იყვნენ. უპარტიო მუშათა ყრილობაზე მუშებმა აირჩიეს უმეტეს შემთხვევაში არა ბოლშევიკები.

ვიტებსკში პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა სოც.-დემოკრატების რეზოლიუცია. ბოლშევიკების მომხრეებმა კრება მიატოვეს. ყრილობა გაგრძელდა უბალშევიკებით. ყრილობა თავდებოდა, როდესაც ბოლშევიკებმა ყრილობა კონტრ-რევოლუციონერათ გამოაცხადეს და გარეკეს.

ქარხნებში და სხვა და სხვა საწარმოო დაწესებულებებში კრებებზე ხმის უმრავლესობით გადის მენშევიკების რეზოლიუციები. ბოლშევიკები მათ წინააღმდეგ იღებენ რეპრესიულ ზომებს. მაგალითად გარეკეს სტამბაში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა და ახალი არჩევნების მოხდენა მიანდვეს ჩეკას სტამბას, სადაც მხოლოდ ბოლშევიკები შედიან.

იგივე გამეორდა ვილოგდში. გარეკეს პროფესიონალურ კავშირთა საგუბერნიო ყრილობა, რადგან ის „კონტრ-რევოლუციონური“ გამოდგა—წარმომადგენლების უმრავლესობა მენშევიკები, ესერები და უპარტიოები იყვნენ.

კიევში გავლენა სოც.-დემ. და ესერების პროფესიონალურ კავშირებში უდიდესია. მენშევიკების ხელშია შემდეგი დარგების მუშები: სტამბის მომუშავეების, ტრანსპორტის, მეტალისტები, მეთამბაქოები და ბევრი სხვა. მეტალისტების პროფ. კავშირის გამგეობა რომელიც მენშევიკებიდან შედგებოდა გარეკეს და ბევრი წევრები კიდევ დაიჭირეს.

მთელი ურალის მუშები დღეს გაფიქსულია. პერმის გუბერნიაში მაზრის და საგუბერნიო საბჭოებში არც ერთი კომუნისტი არ აირჩიეს. და შეიძლება განა ჩამოთვლა უდიდეს რუსეთის იმპერიის ყველა იმ პუნქტების, სადაც მუშათა მასა ოპოზიციაში უდგას კომუნისტებს?

გლეხთა მოძრაობა.

გლეხების დამოკიდებულება ბოლშევიკებისადმი მეტათ გამწვავდა. და ეს არც არის ვასაკირი. სამი წლის განმავლობაში ბოლშევიკები და მათი აგენტები ადგილობრივთა ყოველივეს შერებოდნენ, რომ გამოეწვიათ ზიზლი და წყევლა თავის წინააღმდეგ.

რეკვიზიციები პურის, საქონლის, ყოველი სანოვავის, რომლითაც დაუკარგეს გლეხებს ხალისი მიწის მუშაობის და რაიმეს შექმნის, რადგან ყოველი შექმნა ნიშნავდა ამ ვაეპატრანების დაუპატიებელ სტუმრობას, გადაიქცა საუკეთესო პროზაგანდათ კომუნისტების წინააღმდეგ.

ყველა ამან გლეხთა მასა იმდენათ გააბოროტა, რომ მუდმივ მონობას მიჩვეული რუსის მუევიკი დღეს იარაღით ხელში იბრძვის თავის მყველფელების წინააღმდეგ. მთელი რუსეთი ცეცხლის ალშია გახვეული. არ არის კუთხე, არ არის ისეთი რაიონი, სადაც რამოდენიმე რაზმი, შემდგარი უბრალე გლეხებისგან, არ იბრძოდეს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

F-8313

საქართველოს
დემოკრატიული
რევოლუციონერული



მაგრამ ამ მოძრაობას დღეს დღეობით უფრო „ბუნტის“ ხასიათი აქვს, ვინემ ორგანიზაციულათ მოწყობილის.

აჯანყებულია კიმბირი, აჯანყებულია უკრაინა და შიდა რუსეთი (ტამბოვის, სარატოვის, პერმის და სხვა გუბერნიები). არ არის სიწყნარე არც ყუბანში, დონში, დაღესტანში და სხვაგან.

ყველა ამ აჯანყების ჩამოთვლა და მათი დახასიათება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ მე მხოლოდ ორ მაგალითს მოვიყვან — სარატოვის გუბერნიას და უკრაინას.

აი რას სწერს მოსკოვის „პრავდა“ (17/V) სარატოვის გუბერნიის აჯანყების შესახებ: — კრონშტადტის აჯანყებისთან ერთად დაიწყო მოძრაობა სარატოვის გუბერნიის შიდაც. ავტაცია წარმოებდა მთელი ზამთარი და ეხლა კი დაინახეს შესაფერი მომენტი გამოსვლისათვის. ვოლგის ვარშემო მდებარე სოფლებში დაიწყო გლეხთა მოძრაობა. ანტონოვის ბანდები ტამბოვის გუბერნიიდან შეიქრა სარატოვის გუბერნიის შიდა. ანტონოვის უნდოდა გადაეჭრა რკინის გზა მოსკოვსა და სარატოვს შუა. მეორე ბანდებთა ატამანი პოპოვი მივიდა სარატოვამდე. თვითონ სარატოვში თავი წამოაყვეს ესერების ბანდებმა.

ამ დროს სარატოვში მუშაობდა საბჭოთა დაწესებულებების დანგრევის მიზეზის გამოძველები საკონტროლო კომისია. ესერები შეეცადნენ ამ დროს საბჭოების გარდაქმნას. ქალაქში გაავრცელეს ხმები, თითქოს კრონშტადტის მოძრაობა მოსკოვს და პეტერბურგს მოედო. დაიწყეს ქარხნებში და ფაბრიკებში გაფიცების მოწყობა. თავი წამოაყვეს მენშევიკებმაც. გაიფიცნენ ნაწილი რკინის-გზის მუშებისა. მათ მხარი დაუჭირა სტამბის მუშებმა. ვოლგაზე მიმოსვლა მოისპო. რამოდენიმე დღის შემდეგ წითელი წესრიგი აღდგენილ იქნა. მაგრამ გლეხთა მოძრაობა ამით არ მოისპო. ანტონოვისა და სხვა ატამანის ბანდები დღესაც განაგრძობენ კიდევ უფრო მეტი სიმშვიდით ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ ტამბოვისა და სარატოვის გუბერნიებში.

საუკეთესო დამახასიათებელი გლეხთა გამოსვლების არის ის ცნობები უკრაინის გლეხთა მოძრაობის შესახებ, რომელიც ესერების ორგანო „ვოლია როსიაში“ გამოაქვეყნა თანახმად ბოლშევიკების ოფიციალური ცნობებისა. მოვიყვანთ ამ ცნობებს ჩვენ მოკლეთ.

1. კიევის გუბერნია.

ატამანი მორდალევინი. რაზმის შემადგენლობა — ქვეითი 600 კაცი, ცხენოსანი 60. აქეთ 15 ტყვიისმფრქვეველი, 2 ზარბაზანი. გამოსვლების დროს ქვეითი ჯარის რიცხვი აღემატება 1,200 კაცს.

რაზმის სამხედრო მოქმედებანი: თავს დაესხნენ შემდეგ სადგურებს: ვასილკოვის, მოტოვილოვკას; დაიკავეს ფასტოვისა და ბროვკის სადგურები. აქ მდგომი ბოლშევიკების ნაწილები სრულიად ამოყლიტეს. თავს დაესხნენ ქალაქ ყიტომირს.

2. ატამანი სირკო.

რაზმის შემადგენლობა — ქვეითი 200 კაცი. აქეთ ტყვიისმფრქვეველები. სამხედრო ოპერაციის დროს რაზმელთა რიცხვი 500 კაცამდე აღისს. აჯანყებულები იმალებიან ღნებრისა და ტეტერევკას შუა მდებარე ტყეებში.

სამხედრო მოქმედებანი: ორი თავდასხმა სადგურ ბოროდინკაზე (ამოყლიტეს ადგილობრივი ჩეკას წევრები); დაანგრის რკინის-გზა სადგურ კორნოტენთან, ამოყლიტეს დამსჯელი რაზმი და სხვა.

3. ატამანი ლეფჩენკო. ყავს 100 ქვეითი ტყვიისმფრქვეველებით. თავს დაესხნენ სვიატაშისთან მდგომ სადარაჯო რაზმს, აფეთქეს რკინის-გზის ხიდები, შეტაკება მოუვიდათ სასურსათო რაზმთან.

4. ატამანი ვოლოშენკო. რაზმის შემადგენლობა 300 ქვეითი 10 ტყვიისმფრქვეველით და ერთი ზარბაზნით. დაიკავეს სადგური ცხატინი, სადაც გაანადგურეს ჩეკა, გადაწვეს საწყობები და მატარებლების შემადგენლობა.

5. ატამანი სტრუკი. რაზმის შემადგენლობა 1000 ქვეითი ტყვიისმფრქვეველებითა და ზარბაზნებით. გამოსვლების დროს

რამელთა რიცხვი 4000 კაცამდე აღის. სამხედრო მოქმედება: ქალაქ ვასილკოვის დაკავება, დროებით დაკავება ქ. ქ. ბელაია ცერკოვის, კანევის, ბარელავას და უშაის. გამარჯვება სამ ბოლშევიკურ ღვიზიასთან შეტაკების დროს. შეამზობხეთა შორის საუკეთესო რაზმია კიევის გუბერნიაში.

ამათ გარდა კიევის გუბერნიაში მოქმედებს 7 ასეთივე რაზმი. მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ჩერნიგოვის გუბერნიაში მოქმედებს 2 რაზმი, ვოლინის გუბერნიაში 1, პოდოლის გუბერნიაში 4, ხერსონის გუბერნიაში 3, პოლტავის გუბერნიაში 2, ხარკოვის გუბერნიაში 3. ეკატერინოსლავის გუბ. მოქმედობს მახნო, რომელსაც ექვემდებარება სხვა დანარჩენი რაზმებიც. „მახნოეშინას“ რუსეთში ეხლაც დიდი მნიშვნელობა აქვს და მომავალშიაც შეიძლება ითამაშოს თავის როლი. ასეა ვიმეორებ, არა მარტო უკრაინაში, არამედ მთელ რუსეთში.

განსაკუთრებით დიდ ზარალს აყენებს ბოლშევიკებს ანტონოვის რაზმი. ანტონოვი ყოფილი ბოლშევიკია. ის ერთ დროს დიდ როლს თამაშობდა რუსეთის სხვა და სხვა კუთხეების განადგურებაში. მაგალითად ბრძოლას დონში კალედინთან ის აწარმოებდა. დღეს ის ბოლშევიკებს ებრძვის განსაკუთრებით ტამბოვის გუბერნიაში ბოლშევიკებმა მის წინააღმდეგ დიდ ძალი ჯარი გაგზავნეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი დააკლეს.

ფართო ხასიათი მიიღო რუსეთში აგრეთვე ცეცხლის გაჩენამ. იწვის ტყეები. მარტო მოსკოვის რაიონში 140 ადგილას გაუჩნდა ცეცხლი. ბოლშევიკები ცეცხლის გაჩენას აწერენ გლეხთა „ბუნდებს“.

მენშევიკები და ესერები.

ყველა იმ უბედურებას, რასაც დღეს რუსეთი განიცდის, ბოლშევიკები აწერენ მენშევიკებისა და ესერების ოანებს.

ისინი არიან დამნაშავენი, გაიძახიან ვაზეთების ყოველ ნომერში, უსურსათობისა, გლეხთა მოძრაობისა, მუშათა უკმაყოფილობისა და სხვა. კომუნისტები მოუწო-

დებენ მუშებს და გლეხებს „ხალხის მტრების“ — მენშევიკებისა და ესერების განადგურებისაკენ.

თავის მხრივ ამ ორ პარტიის მიმდევართა წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიულ ზომებს იღებენ. დაჭერილია მთელ რუსეთში ცოტათ თუ ბევრათ ცნობილი და ძველი მომუშავე მენშევიკი და ესერი. ციხეები საესეა პოლიტიკური დამნაშავეებით. ჩერნოვს რომ ვერაფერი მოუხერხეს მისი ცოლშვილი დააბატონრეს.

ციხეებში სასტიკათ ექცევიან პატიმრებს. ბუტირკის ციხეში მისში რამდენიმე ასულ პოლიტიკურ დამნაშავეს ძალზე სცემეს.

შომშობობა, ანტიგვიგენური პირობები და უკიდურესი ინკვიზიტორი რეჟიმი მიზნია პოლიტიკურთა მასიურ სიყვდილის.

დღეს ბოლშევიკებს რუსეთში ერთადერთი საომარი ფრონტი აქვთ — ეს სოციალისტურ პარტიებთან ბრძოლა.

სპეკულიანტები, ბურჟუაზია და სხვა ამგვარები დღეს ლენინის მოკავშირეებია, მტერია მუშები, გლეხები და მათი ხელმძღვანელები — მენშევიკები და ესერები.

მიუხედავად ამგვარი სასტიკი რეპრესიებისა მენშევიკები და ესერები ენერგიულ ბრძოლას განაგრძობენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ფაბრიკებში და ქარხნებში, ქუჩაში და საზოგადო შენობებში მიტინგებზე და კრებებზე ბოლშევიკების წინააღმდეგ მუდამ და ენერგიულათ გამოდიან დევნილი პარტიების წარმომადგენლები და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ კომუნისტურ რევოლუციონურ მთავრობის რეაქციონურ პოლიტიკას და მოუწოდებენ ხალხს მის დასამხობათ.

ქალაქებში გაფიცვების ხელმძღვანელები ისინი არიან, უპარტიოთა მისწრაფებათა იდეიური სულის ჩამდგმელებიც ისინი არიან. მუშათა მასა თანდათან იღვიძებს ბოლშევიკური ლეტარგიული ძილიდან და შორს არ არის ის დრო, როდესაც კომუნისტური რეჟიმი სასტიკათ დაეცემა, როგორც რუსეთის, ისე მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის საკეთილდღეოთ,



დეკლარაცია.*

ამის ქვემოთ ხელის მომწერნი წარმომადგენელნი სომხეთის, აზერბეიჯანის, ჩრდილო კავკასიის და საქართველოს რესპუბლიკების, კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობისა, დემოკრატიულ წყობილებისა და ეკონომიურ წარმატების განსამტკიცებლად, ამ რესპუბლიკათა შორის ყოველივე უთანხმოებათა მიზეზის მოსასპობათ, და მათ შორის სოლიდარობის მკვიდრ საფუძველზე დასამყარებლად, ვაცხადებთ შემდეგს:

1.

ზემოთ აღნიშნული წარმომადგენლები ერთხმად აღიარებენ, რომ კავკასია, რომელსაც უჭირავს ყელი ევროპასა და აზიას შორის, თავის გეოგრაფიულ მდებარეობით წარმოადგენს დიდ საერთაშორისო გზას, რომელიც აერთებს შავ ზღვას და ხმელთა შუა ზღვას ცენტრალურსა და წინა აზიასთან, და რომ თავისუფლება ამ გზის ყველა ერთა სასარგებლოდ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმტკიცებულ იქნა ამ რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობა და მათ შორის დამყარებული კავშირი.

2.

ზემო აღნიშნულ რესპუბლიკების წარმომადგენელნი ერთხმად აღიარებენ აგრეთვე, რომ, რათა დატულ იქნეს ამ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა და კავკასია შეიქნეს მართლა დამაკავშირებელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, საქრისტიანო და სამუსლიმანო ქვეყნების, აუცილებელია მკვიდრო და ძმური კავშირის დამყარება ამ ხალხთა შორის.

3.

რათა თავიდან აცილებულ იქნეს ყოველივე მიზეზი კონფლიქტების, რომელთაც

* ამის გამო წერილს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

რედ.

სამწუხაროთ ადგილი ქონდა წარსულში კავკასიის ხალხებ შორის, და რათა რაც შეიძლება სწრაფად დამკვიდრდეს მეგობრობა ამ რესპუბლიკებ შორის, რომელნიც შეერთებულნი არიან მრავალ საუკუნო მემობლობის კავშირით და საერთო ისტორიული ბედით, კავკასიის რესპუბლიკები ადგენენ: ამიერიდან ყოველივე განხეთქილება და დავა რომელიც არსებობს ან მომავალში აღიძვრის მათ შორის და პირველ ყოვლისა საზღვრების საკითხი, გადაჭრან სავალდებულო არბიტრაჟის საშუალებით.

4.

იღებენ რა მხედველობაში, რომ ამ დეკლარაციაში დასახული მიზნის მისაღწევად, სრულიად აუცილებელია საერთო შეხედულებანი და საერთო ორიენტაცია საგარეო პოლიტიკაში, კავკასიის რესპუბლიკები აცხადებენ, რომ თავს შეიკავებენ ყოველგვარი ვალდებულებისა, მოქმედებისა, შეთანხმებისა და საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულობისგან, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს საერთოთ კავშირს ან მის რომელიმე წევრს. და ისინი ხელს შეუწყობენ საგარეო პოლიტიკის სფეროში ყველა ამ ერთა მოქმედების გაერთიანებას და კოორდინაციას, რომელნიც შეერთებული არიან ამ საკავშირო ხელშეკრულებით.

5.

აღიარებენ რა, რომ თვითველ ამ ხალხთაგანის დამოუკიდებლობა მკვიდროთ დამაკავშირებელია დანარჩენების დამოუკიდებლობასთან, აღნიშნული რესპუბლიკები აარსებენ სამხედრო თავდაცვის კავშირს, რომ დაიფარონ გარეშე თავდამსხმელისაგან თვითველი მათგანი ცალცალკე და ყველანი ერთად.

6.

იღებენ რა მხედველობაში კავკასიის ყველა ხალხების ეკონომიურ ინტერესთა ერთობას, რომელიც მათ ღრმად აქვთ

შეგნებული, და რომ უფრო გამტკიცონ პოლიტიკური სოლიდარობა ამ ხალხების, ამის ხელის მომწერნი აცხადებენ, რომ ყოველივე სადამოყნო, საბაჟო და სხვა დაბრკოლებანი საქონლის თავისუფალი ტრიალისა—კავკასიის რესპუბლიკებ შორის უქმდება და აღნიშნული რესპუბლიკები ამიერიდან შეადგენენ ერთ სადამოყნო ერთეულს, და ერთ მთლიან ტერიტორიას საერთაშორისო კომერციული ტრანსპორტისათვის.

7.

ამყარებენ რა საკავშირო ურთიერთობას ზემო აღნიშნულ პრინციპების თანახმად, კავკასიის რესპუბლიკები ხელმძღვანელობენ წრფელი სურვილით დაამყარონ მათი სრული დამოუკიდებლობის და ტერიტორიალურ—ხელშეუხებლობის საფუძველზე მეგობრული და კეთილმეზობლური განწყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთთან, ოსმალეთთან და სპარსეთთან. ამასთანავე კავკასიის რესპუბლიკების: სომხეთის, აზერბეიჯანის, ჩრდილო-კავკასიის და საქართველოს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს რესპუბლიკები მზათ არიან სრული დამყარებულება მისცენ რუსეთის ეკონომიურ ინტერესებს, რომელიც ამ უკანასკნელს ექნება კავკასიაში, მას შემდეგ, რაც მოწესრიგებულ იქნება მათი ურთიერთობა რუსეთთან.

8.

დარწმუნებულნი, რომ ევროპის სახელმწიფოები მორალურ და პოლიტიკურ დახმარებას გაუწევენ დამოუკიდებლობის საქმეში ამ კავკასიის რესპუბლიკებს რომელნიც ცნობილი არიან მრავალი საერთაშორისო აქტებით, აღნიშნულ რესპუბლიკათა მთავრობანი მთელი ძალდონით შეეცდებიან განამტკიცონ პოლიტიკური, ინდუსტრიალური და კომერციული ურთიერთობა უცხო სახელმწიფოებთან და შექმნან შესაფერი პირობები, რომელიც გა-

ადვილებს უცხო კაპიტალის თანამშრომლობას კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლად.

9.

სომხეთის, აზერბეიჯანის, ჩრდილო კავკასიის და საქართველოს რესპუბლიკების წარმომადგენლნი, დარწმუნებულნი იმაში, რომ აღნიშნულ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა კავშირი აუცილებელია მახლობელ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის და წესიერების დასაცველად, აცხადებენ, რომ დასახულ მიზნების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი ამ სახელმწიფოებისათვის, თუ მეზობელი სახელმწიფოები პატივისცემით მოგპყრობიან და დაიცვენ აღნიშნულ რესპუბლიკების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ტერიტორიალურ მთლიანობას.

10.

კავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ყოველი შეთანხმება და ხელშეკრულება, რომელსაც თავზე მოახვევენ კავკასიის სახელმწიფოებს, და რომელნიც შეეცებიან ტერიტორიის დათმობას, ან გადაცემას, აგრეთვე ყოველგვარი კონცესიები და პრივილეგიები, რომელიც გაიცემიან სომხეთსა, აზერბეიჯანსა, ჩრდილო კავკასიასა და საქართველოში, იმ ხელისუფლების, ჯგუფის თუ ორგანიზაციების მიერ, რომელნიც არ არიან წარმომადგარი ამ რესპუბლიკათა ხალხის მიერ თავისუფლათ გამოთქმულ ნებისყოფიდან, მოკლებულია ყოველივე კანონიერ მნიშვნელობას და არა ნამდვილათ იქნებიან ჩათვლილი.

დადებულია პირში 1921 წელს იენისის 10-ს 4 ეგზემპლიარად.

აგარონიანი, სომხ. რესპ. დელეგ. თავმჯდომარე, ა. მ. ტოფჩიბაშევი—აზერბ. რესპ. დელ. თავმჯდომარე, ა. მ. ჩერნიაევი—ჩრდ. ქავ. რესპ. დელ. თავმჯდომარე, ა. ჩხენკელი—საქ. რესპ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი.



პროფ. კავშირებში. ბოლშევიკებმა ჩამოსვლისთანავე გადააყენეს პროფ. კავშირების გამგეობანი და დანიშნეს თავის აგენტები გამგეობის წევრებად, ერთი ორი თვის გამუდმებული აგიტაციის შემდეგ, მათ სცადეს ახალი არჩევნების დანიშვნა, მაგრამ ყველგან საჯაყი საქმე დაემართათ. მუშებმა იგინი საშინლათ გააშავეს, რაზედაც ბოლშევიკებმა უხეში ძალადობით გასცეს პასუხი. მაგალითად ბათომში მოხდა არჩევნები მეტყავეთა კავშირში. უმრავლესობამ კრებისა მიუხედავით აშკარა არჩევნებისა, რომელსაც თვალყურს ადევნებდა მილიციის უფროსი, აირჩია არა ბოლშევიკები. კომუნისტებმა კი გამგეობის წევრებათ დაამტკიცეს თავისი სია, რომელმაც ძალიან მკირე ხმები მიიღო. ასევე მოხდა ფოსტის მოხელეებში და პორტის მუშებში. ამ უკანასკნელში უმრავლესობა სომხები მუშაობს, მაგრამ ბოლშევიკებმა თავის სიის გარშემო მაინც ვერ შეკრიბეს 400 მუშიდან 70 ხმაზე მეტი, დანარჩენებმა ხმა მისცეს შერეულ ანტიბოლშევიკურ სიას. კრების პრეზიდენტმა კი არჩეულათ მაინც კომუნისტები გამოაცხადა. აღვლევებულ ხალხს, რომელმაც პროტესტის შეტანა დააპირა, განუცხადეს, შემოიტანეთ განცხადება ხელმოწერილი და მისამართის ჩვენებითო. აბა ვინ გაბედავდა?

თფილისშიც, ყველა კავშირები. იგინიც კი, რომელნიც წინეთ ბოლშევიკებს თანაუგრძნობდნენ, დღეს ანტიბოლშევიკურათ არიან განწყობილნი. ასეა მეტყავეთა კავშირში, ასოთ-ამწყობებში და სხვ. რკ. გზის დეპოში ბოლშევიკებმა მიუხედავათ რეპრესიებისა 23 დღეგატიდან მხოლოდ ერთი გაიყვანეს ბოლშევიკი. გაბრაზებულებმა არჩევნები დაშალეს და ახალი დანიშნეს ერთი

კვირის შემდე. მაგრამ ახლა მუშებმა 23-ე არა ბოლშევიკები გაიყვანეს. ამიტომ დღეს საერთო კრებებს ბოლშევიკები აღარ მართავენ, მათ დანიშნეს ყველგან დელეგატები, კომიტეტები, გამგეობები და შემდეგ ამ თავის დანიშნულ ხალხს უყრიან თავს, როცა სურთ „მუშათა ხმა“ მოისმინონ. დანიშნულები უმთავრესად ახლათ ჩამოსული ან ჩამოყვანილი ელემენტებია.

პირველი მაისობა. ქუთაისში 1 მაისის წინა დღით*) შეაგდეს ყუშბარა რეკომის და ჩეკას ბინაში. რასაკვირველია არავინ დაშავებულა. მაგრამ მაშინვე დაიგზავნა დეპეშები ყოველგან, რომ მენშევიკებს უნდოდათ საშა გეგეკორის მოკვლაო და დაიწყო მათი დაქერა. ხონში, როგორც მითხრეს, დეპეშა დილის 10 საათზე მიიღეს, მაშინ როდესაც ყუშბარები 12 საათზე გაისროლეს. აშკარა ეს პროვოკაცია იყო. დაქერილია თითქმის ყველა მენშევიკების მეთაურები, როგორც ქალაქებში ისე სოფლად. დაიპირეს ზოგიერთგან ნაციონალ-დემოკრატებიც, განსაკუთრებით ზემო იმერეთში და სამეგრელოში. მიუხედავათ მიღებულ რეპრესიებისა პირველი მაისობა მკრთალათ ჩატარდა. არსად საკმაო ხალხი არ დაესწრო კომუნისტების დღესასწაულს. ქუთაისში ბავშვებმაც კი უარი სთქვე ქუჩაში გამოსვლაზე, რის გამო დაიპირეს სასწავლებლების დირექტორები და ზოგი მასწავლებელთაგანი. აქ საწინააღმდეგო დემონსტრაციასაც ქონდა ადგილი, როცა დაქერილები ჩაატარეს ბულვართან. დაქერილებს დეედენა ზღვა ხალხი, „ეშას“ ძაბილით. ქალები და ბავშვები ყვავილებს ესროდენ და ამხნევებდენ

*) წინა ნომერში შეცდომით იყო აღნიშნული 7 მაისი. ყუშბარა 1-ლ მაისის წინა დღებში ისროლეს.

მათ. სოფლებში ხომ სულ სასაცილო მდგომარეობაში იყვენ კომუნისტები. ხალხი არსად არ დაესწრო მათ კრებებს, რის გამო მათ კიდევ დაიჭირეს ზოგ-ზოგი გავლენიანი პირები.

თფილისში პირველი მისი დიდი ზეიმით გაღიხიდეს თვით კომუნისტებმა, ბაირადეებით, შემკული დროშებით, ავტომობილებით და სხვა. მაგრამ ამის მონაწილე იყვენ რუსი ჩინოვნიკები, მოხელეები, რომელთაც ნაბრძანები ქონდათ დასწრება, და სპეკულიანტები. მუშათა პროფესიებიდან დაესწრენ მხოლოდ მათი დანიშნული აგენტები და თითო-ორი ცნობის მოყვარენი. უმთავრესი მიზეზი დაუსწრებლობის ისაა, რომ კომუნისტების პირველ მისობა რევოლიუციურ დემოკრატის არ სწამს და მათგან ამ დღის დღესასწაულობა მუშათა დიადი ტრადიციის შელახვით მიიჩნია. ამიტომ იგი გაუფრბის მას და როგორც თვითმპყრობელობის დროს, დღესასწაულს ვიწრო წრეში ატარებს ქალაქ გარეთ, ძმათა სასაფლაოზე, ან ტყეში. მაგრამ, ჩვეულებრივად ღონეს ხშირობდა, რომ აქაც მათთვის ხელი შეეშალა, შეკრებილებს ფანტადენ მისი რაზმები და მილიციელები.

26 მაისი. ბოლშევიკებს დიდი მზადება ქონდათ ამ დღისთვის. ეშინოდათ ხალხის აჯანყების. ყველგან დაგზავნეს ცირკულიარები (№ 374), რომელნიც განკარგულებას აძლევდენ სასტიკი ზომები მიეღოთ წესრიგის გარეშე გამოსვლის წინააღმდეგ. თუ ესეთი რამ მოხდებოდა ყველა მილიციელს, და ყველა კომუნისტს უფლებად ეძლეოდა იარაღისთვის მიემართა. ბოლშევიკებმა გაღაწყვიტეს თვით ელდესასწაულოთ 26 მაისი, როგორც განთავისუფლების დღე საქართველოსი. მაგრამ წინასწარ გააუქმეს დეკრეტით საქართველოს დროშა

და ემბლემა, რომელიც შეცვალეს რუსულ წითელ დროშით და ნამგალ - ჩაქუჩით. ხალხმა ეს ცვლილება არ მიიღო და დღესასწაულში მონაწილეობაზე უარი სთქვა. მით უმეტეს, რომ ეშინოდათ ბოლშევიკურ პროვოკაციის და სისხლის ღვრის. და აი ქალაქებში: თფილისში, ქუთაისში, ბათუმში და სხვაგან ბოლშევიკების 26-მა მისმა კარიკატურული, „კაზონი“ სახე მიიღო. მას დაესწრენ მხოლოდ სპეკულიანტები და ჩინოვნიკები, რომელთაც ნაბრძანები ქონდა დასწრება. თფილისში სადღესასწაულოთ არავინ გამოსულა ქართველთაგანი. ამ დღესვე დანიშნული იყო რუსთაველის ძეგლის გახსნა, მაგრამ მასაც სულ დიდი 100 კაცამდე თუ დაესწრო, მეტი არა. ამათაც გულგრილათ მოისმინეს ფილ. მახ. „ორატორობა“ და ოვაციით შეხვდენ მხოლოდ „დიდებან“, ქართულ ეროვნულ ჰიმნს, რომლის მღერის ნება დაურთოთ ლობტარისთვის. ხალხმა ის ქუდმოხდილი მოისმინა და სამჯერ გაამეორებინა... ამრიგათ ბოიკოტმა პირდაპირ დემონსტრაციული ხასიათი მიიღო. სოფლებში ზოგიერთგან ხალხი ესწრებოდა კომუნ. მიტინგებს უფრო ცნობისმოყვარეობით. ზოგან კი შეეცადენ ქართული დროშებით გამოსვლას.

ასეთ გამოსვლას ქონდა ადგილი ოზურგეთში, სადაც 8 სოფელმა მოიყარა თავი ეროვნული დროშებით. კომუნისტებმა სცადეს დროშის წართმევა, მაგრამ ხალხის აღელვებამ შეაქროთ ისინი და დროშა უკანვე დაუბრუნეს. მიტინგზე ილაპარაკა სოც.-დემ. მურვანიძემ, რომლის სიტყვა ხალხმა ოვაციით და ყვავილების თაიგულებით დაფარა. შედეგი: დაიჭირეს მურვანიძე და 15 კაცამდე სხვები. ლანჩხუთში ხალხმა პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად წინდაწინვე აყარა იარაღი



მილიციას და მხოლოდ მიტინგის შემდეგ დაუბრუნა უკანვე. მიტინგი ქართული დროებით იყო დაფარული.

ასეთსავე გამოსვლას ქონდა ადგილი სილნაში. იქაური ს.-დემ. მეთაურობით ამ დღეს გამოიტანეს ქართული დროშა და ასე ბოლშევიკური დღეობა საქართველოს დღესასწაულათ აქციეს. შედეგი იყო აქაც დააპატივრება მრავალი მოწინავე პირის.

ხალხმა ამ დღეს აშკარათ სთქვა, რომ მას სწამს 26 მაისი, მაგრამ არ სწამს ბოლშევიკები—მათი არც ავი უნდა არც კარგი.

აწიოკება ქართლის. ქართლში ოსების ბატონობაა. მრავალი სოფელი გაანადგურეს, ბევრი ოჯახი სულ ამოწყვიტეს. დარბევას ხომ ანგარიში არა აქვს. თუ სადმე შეათვალთვალეს კარგი საქონელი, ძროხა, ხარი, კამეჩი და სხვ. შეისწავლიან მის ნიშნებს, შემდეგ იჩივლებენ თავის სოფლის რევეკომში ამა და ამ ადგილას ჩემი ძროხა თუ ხარი არის ამ ნიშნებით წაყვანილი და დამიბრუნეთო. რევეკომიც უბრუნებს. ხალხი სასოწარკვეთილებამდე მივიდა. მრავალ სოფელში ეგზეკუციებია ჩაყენებული.

ქართული წით. ლაშქარი. იგი შესდგება სულ 3—4000 კაცისაგან. გადმოგვიყვან, ერთ ნაწილში ბოლშევიკებს ანკეტა მოუხდენიათ, და 500 კაციდან 400-ზე მეტს უბასუსხნია მენშევიკი ვარო, 30—კომუნისტი და დანარჩენებს უბარტიონიო. აბა ასეთი „წითელი“ ჯარი რაში გამოადგებათ?

დამოუკიდებლობის გარშემო: ჩვენ გვეწერენ: საქართველოს საზღვრები გაუქმებულია, თითქმის ყველა დაწესებულებებში სქარბობს საქმის წარმოება რუსულ ენაზე. გაუქმებულია საქართველოს რკინის გზა, და დაარსებულია ამიერ კავკასიის

რკინის გზის მართველობის გატყვევებული საქართველოს „ენეშტორგი“ და დაარსებულია აზერ. და სომხ. საერთო „ენეშტორგი“, დაარსებულია კავკასიის სომხებრო შტაბი, გაერთიანებულია სამივე რესპუბლიკის პროფ. კავშირები. ასე ხდება ყველა იმ დარგებში, რომელიც დამოუკიდებლობის სახის მატარებელი იყვენ.

ფასები სანოვაგეზე. შკადის ფქვილი 100,000-ზე მეტი. გირვანქა ხორცი—10 ათასი მან. კვერცხი თითო—1200—1300. ყველი გ. 5000 და სხვ. წყვილი ფესხაკმელი ნახევარი მილიონი. წაღები მილიონ ნახევარი და სხვ. ფასები ყოველ დღე მატულობს. სპეკულიაცია თავაშვებულია და წარმოუდგენელის სისწრაფით ვითარდება.

ხაშური. აქ დეგოში ცეცხლი გაუჩნდა რუსეთიდან ჩამოტანილ ჯავშნიან მატარებლის ორთქლმავალს და სულ დაიწვა ისე, რომ შესაკეთებლათ აღარ გამოდგება. კომუნისტებმა ბრალი დასდვეს მუშებს, განგებ დასწვავდითო და მრავალი დაატუსაღეს.

გასამართლება. 18 მაისს, ქუთაისში შესდგა გასამართლება ვ. ლენინის და ნ. ჟორდანაისი. თეზისები წინდაწინვე იყო წარდგენილი და ნება დართული კომუნისტების რევეკომისაგან. გასამართლებამ მინც მოულოდნელი შედეგები მოიტანა. მოსამართლეებმა და დამსწრე საზოგადოებამ რომელიც ძალიან ბევრი დაესწრო და გასამართლებაში მონაწილეობას ღებულობდა ვ. ლენინს სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო ნ. ჟორდანია ცამდე აიყვანეს. ამით გაბრაზებულმა საშა გეგეჭკორმა (რევეკომის თავმჯდომარეა) ინიციატორები იქვე დააპატიმრა.